პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 31 (9499) | პარასკევი, 6 თებერვალი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

მთელი ძალები დავრაზმოთ მეაბრეშუმეობის ფართოდ განვითარებისათვის

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და უმნიშვნელოვანესი დარგია. საქართველოს მეაბრეშუმეებმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი წარმატებები მოიპოვეს. აბრეშუმის პარკის მოსავლის მხრივ ჩვენს რესპუბლიკას საბჭოთა კავშირში მეორე ადგილი უჭირავს.

მაგრამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მეაბრეშუმეობის განვითარება სრულებით არ შეესაბამება იმ დიდ შესაძლებლობებს, რაც ჩვენს რესპუბლიკას აქვს.

რით აიხსნება არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა მეაბრეშუმეობაში? ეს უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა (მმართველი ამხ. ა. არეშიძე) გააუარესა მუშაობა, ხოლო პარტიული ხელმძღვანელობა ამ საქმისადმი შეუწყნარებლად შესუსტდა.

მეაბრეშუმეობის ჩამორჩენა იმის პირდაპირი შედეგია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელობა ჯეროვნად არ აფასებდა მას, არ უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის შემდგომი აღმავლობისა და განვითარების საკითხებზე საკავშირო მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებას.

განუხრელად ახორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივებს, დიდი სტალინის ბრძნულ მითითებებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა გადამწყვეტ ზომებს იღებს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების მოწინავედ გადაქცევისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეაბრეშუმეობის საკითხზე მოწვეული თათბირი, რომლის განგარიში ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება, მოწმობს, თუ რა დიდი ყურადღება ექცევა ახლა ჩვენში სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებას. თათბირზე თავის სიტყვაში ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ ბოგცა მეაბრეშუმეობაში არსებული მდგომარეობის ღრმა ანალიზი და დაგვისახა საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგიდან მისი მოწინავე დარგად გადაქცევის კონკრეტული გზები.

მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარება დამოკიდებულია მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე. 1947 წლიდან დაწყებული სისტემატურად არ სრულდებოდა გაზაფხულის გამოკვების პარკის დამზადების გეგმა. ამიტომ ფართო მასშტაბით იყენებდნენ განმეორებითს გამოკვებას. ამან გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა მეაბრეშუმეობის საკვებ ბაზას. თუთის ხეების ცუდმა მოვლამ, მტაცებლურმა გამოყენებამ გამოიწვია მათი მნიშვნელოვანი რაოდენობის დაღუპვა. უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში დარგული თუთის ხეების თითქმის 64 პროცენტს არ გადარჩენია.

მეაბრეშუმეობის მუშაკთა ამოცანაა სწრაფად აღმოფხვრან ნაკლოვანებები, ორიგინალურად, სახელმწიფოებრივად გაუღგნენ მტკიცე საკვები ბაზის შექმნას. უამისოდ წარმოუდგენელია მეაბრეშუმეობის აღმავლობა. აუცილებელია ფართოდ დავნერგოთ წარმოებაში თბილისის მეაბრეშუმეობის საკავშირო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკთა: გ. ჯაფარიძის, მ. შაბლოვსკაიას, ა. დიდიძისა და ა. მარჯანიშვილის მიერ გამოყვანილი თუთის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები: „გრუზია“, „ქუთათური“, „თბილნიო № 7“ და „თბილისური“, რომლებიც ფოთლის ორნახევარჯერ-სამჯერ უფრო მეტ მოსავალს იძლევიან, ვიდრე არსებული ჯიშები.

ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი ზრდა მთელი სიგრძე-სიგანით აყენებს აბრეშუმის მრეწველობის მნიშვნელოვნად განვითარების ამოცანას. სოციალისტური სამშობლო მეაბრეშუმეობის მუშაკებისაგან მოითხოვს მეტ და საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის პარკს. საჭიროა ფართოდ დაენერგოთ აბრეშუმის ჭიის თეთრპარკიანი ჯიშები, რომლებიც უფრო მაღალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილს იძლევიან.

პარტიამ, საბჭოთა მთავრობამ მზრუნველობით აღზარდეს მეაბრეშუმეს სპეციალისტთა და პრაქტიკოს-ნოვატორთა შესანიშნავი კადრები, რომლებიც საუცხოოდ დაეუფლნენ აბრეშუმის პარკის მოყვანის აგროტექნიკას, მისი გადამუშავების საქმეს. ამ კადრების სწორად გამოყენება, მათდამი დახმარების გაძლიერება წინ წასწევს საქმეს.

მეაბრეშუმეობის ნოვატორთა შესანიშნავი მიღწევაა აბრეშუმის ჭიის კვების ჩქაროსნული ხერხების შემუშავება, რომლებიც დღემდე სუსტად არის გავრცელებული. კვების ვადების შემცირებას დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად შესრულებისათვის. ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებში აბრეშუმის ჭიის გამოკვების ნორა ემთხვევა ჩაის ფოთლის მასობრივი კრეფის პერიოდს. ამიტომ პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან უზრუნველყონ მოწინავე მეაბრეშუმეთა მიღწევების ფართოდ გავრცელება ყველა კოლმეურნეობაში, ყოველნაირად შეუწყონ ხელი მეცნიერთა მიღწევების პოპულარიზაციასა და დანერგვას მეთუთეობაში.

მეაბრეშუმეობის დარგში მუშაობის ძირეულად გარდაქმნის ამოცანა ბევრ რამეს აკისრებს ჩვენს პრესას.

„თუთის ხის ამ ძვირფასი ჯიშების პოპულარიზაციას, — თქვა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ მეაბრეშუმეობის საკითხზე წარმოთქმულ სიტყვაში, — სუსტად ეწევა ჩვენი პრესაც. იგი ფართოდ უნდა განუმარტავდეს მოსახლეობას თუთის ხის მშვენიერი ჯიშის „გრუზიას“ და სხვა ჯიშების გაშენების დიდ მნიშვნელობას, ამხილებდეს, ამათრახებდეს ბიუროკრატებსა და რუტინერებს, რომლებიც ხელს უშლიან ახლის, მოწინავის წინწაწევას მეაბრეშუმეობის საქმეში. ჩვენს გაზეთებს კიდევ ერთი რამ უნდა ვუსაყვედურო. მათს ფურცლებზე იშვიათად ვხვდებით შენიშვნებს, კორესპონდენციებს, სტატიებსა და სხვა მასალებს მოწინავე მეაბრეშუმეთა შესახებ. მათს გამოცდილებას კი ნათლად, დამაჯერებლად უნდა ვუწევდეთ პროპაგანდას, ფართოდ ვაშუქებდეთ მეცნიერთა მუშაობასა და წარმატებებს, იმ კოლმეურნეობათა მიღწევებს, რომლებიც მეაბრეშუმეობას მისდევენ“.

რესპუბლიკური, საოლქო და რაიონული გაზეთების რედაქციების ღირსების საქმეა უფრო აქტიური დახმარება გაუწიონ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მეაბრეშუმეობის წინაშე დასახული დიდი ამოცანის სანიმუშოდ განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მეაბრეშუმეობის რაიონების მუშაკთა მუშაობა შეფასებულ იქნება არა წარმოთქმული სიტყვების, დაპირებებისა და ვალდებულებების რაოდენობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენ ცენტნერ და როგორი ხარისხის პარკს ჩაბარებენ ისინი სახელმწიფოს. სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ მუშაკის მუშაობის საზომი საბოლოო ანგარიშით მოსავალია. ეს მუდამ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს ვრცელი დადგენილება „მეაბრეშუმეობის მდგომარეობის და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში მოცემულია მეაბრეშუმეობის მძლავრი აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებები. საჭიროა ეს დადგენილება ფართოდ განვუმარტოთ კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს.

„კარგი საქმიანი გადაწყვეტილების მიღება, — განაცხადა ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ, — ეს ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის ყველაფერი, ეს საქმის მხოლოდ ნაწილია. მთავარია ის, რომ შევასრულოთ ეს კარგი გადაწყვეტილება. ზოგჯერ ჩვენ საუცხოო ღონისძიებებს ვსახავთ, მაგრამ ზოგიერთ მუშაკს არ ჰყოფნის უნარი, სიმტკიცე მათი შესრულებისათვის, და პრაქტიკული ღონისძიებანი ფარატინა ქაღალდად იქცევა. საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოვუღოთ. ეს განსაკუთრებით კარგად უნდა შეითვისოს ყველა იმან, ვინც ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის წინაშე პასუხისმგებელია მეაბრეშუმეობის დარგში ჩვენ მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა შესრულებისათვის, ყველამ—მინისტრიდან აგრონომამდე. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ უაღრესად ზუსტად შესრულდეს გადაწყვეტილებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია მეაბრეშუმეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

რაიონების, ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა გაკვეთილი უნდა გამოიტანონ ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ ამ მნიშვნელოვან საქმეში დაშვებული შეცდომებიდან, ახლებურად მოეკიდონ ამ საქმეს და გადაჭრით გარდაქმნან თავიანთი მუშაობა. გარდაქმნან იგი ისე, რომ უახლოეს ხანში გადაქცეონ ჩვენი მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგიდან მოწინავე დარგად, რათა უკვე მომავალ წელს შეგვეძლოს მოვახსენოთ ამხანაგ სტალინს, რომ ჩვენ წარმატებით ვასრულებთ მეაბრეშუმეობის აღმავლობისა და განვითარებისათვის ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახულ ამოცანებს“.

საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ ამ მითითების განსახორციელებლად. ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ, საქართველოს სოფლის მეურნერების ყველა მუშაკმა ენერგიულად, ბეჯითად, მთელი სიმტკიცით უნდა მოჰკიდოს ხელი მეაბრეშუმეობის ფართოდ განვითარების საქმეს.

„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტში

საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა გერმანელ მწერალს იოჰანეს ბეხერს

გუშინ კრემლში, სვერდლოვის დარბაზში, საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენლის თანდასწრებით „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემია გადაეცა ცნობილ გერმანელ მწერალს იოჰანეს ბეხერს.

დარბაზში შეკრებილი საბჭოთა მწერლები, საბჭოთა ხელოვნების მოღვაწეები, მოსკოვის საწარმოთა სტახანოველები გულთბილად მიესალმნენ გერმანული დემოკრატიული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელს, რომელიც თავის ნიჭს ახმარს მშვიდობისმოყვარე დემოკრატიული გერმანიისათვის ბრძოლის საქმეს.

საერთაშორისო სტალინური პრემიების კომიტეტის 1952 წლის 20 დეკემბრის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ კომიტეტის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა დ. ვ. სკობელცინმა ლაურეატს მიულოცა ჯილდო და დამსწრეთა ტაშის გრიალში გადასცა დიპლომი და ოქროს მედალი ბ. ბ. სტალინის გამოსახულებით.

შემდეგ გამოსულნი მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი **ი. ი. ანისიმოვი**, მწერალი **კ. ა. ფედინი**, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი **ო. ა. ხვალებნოვა** და საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის წარმომადგენელი **ტ. ვ. მატვეევა** ლაურეატს მიესალმნენ საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით და აღნიშნეს მისი დამსახურება გერმანიის დემოკრატიული კულტურის განვითარებაში, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში, საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის მეგობრობის განვითარებასა და განმტკიცებაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო სტალინური პრემიის ლაურეატმა იოჰანეს ბეხერმა, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ.

იოჰანეს ბეხერის სიტყვა

ბატონო თავმჯდომარე, ძვირფასო მეგობრებო!

უმაღლესი ჯილდო ჩემს ცხოვრებაში — ჩემთვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მონიჭება არ შემიძლია სხვანაირად მივიღო, თუ არა როგორც გამოხატულება მეტად დიდი აღიარებისა, რომელიც ეხება მშვიდობისათვის გერმანელთა მოძრაობას, ყველა იმ გერმანელ მამაკაცსა და ქალს, რომლებიც დაუცხრომლად, მთელი რიგი წლების მანძილზე ცდილობენ მშვიდობა შეუნარჩუნონ თავიანთ სამშობლოს. ეს პატივი, რომლითაც ჩვენ, ყველა გერმანელს, შეგვიძლია ვიამაყოთ, გვავალებს უფრო მტკიცედ და გაბედულად ვიბრძოლოთ მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ გერმანელ ხალხსა და საბჭოთა ხალხს „ყველაზე მეტი პოტენციალი აქვთ ევროპაში მსოფლიო მნიშვნელობის დიდი აქციების მოსახდენად. თუ ეს ორი ხალხი გამოიჩენს მტკიცე ნებას იბრძოლონ მშვიდობისათვის თავისი ძალების ისეთივე დაძაბვით, როგორითაც ისინი ომს ეწეოდნენ, მშვიდობა ევროპაში უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს“.

ჩემთვის მშვიდობის საერთაშორისო სტალინური პრემიის მონიჭება გვავალებს მთელი ჩვენი ენერგია მოვახმაროთ იმას, რომ შევქმნათ ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, მართლაც ჰუმანისტური გერმანია, რომელსაც უნარი ექნება შეასრულოს საუკუნის დიდი ისტორიული ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს ამხანაგ სტალინის სიტყვებიდან. ერთიანი, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნა ერთადერთი შესაძლებლობაა მეზობელი ხალხებისათვის და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირისათვის ყოველივე იმის ასანაზღაურებლად, რაც მათ ჰიტლერელმა ბარბაროსებმა მიაყენეს. მადლობას ვუძღვნი რა საბჭოთა ხალხს იმ დიდი პატივისათვის, რაც მშვიდობისათვის გერმანელთა მოძრაობას დასდეს, ყველა გერმანელის სახელით, რომელთაც მხურვალედ უყვართ მშვიდობა და მგზნებარედ ერთგული არიან მშვიდობის საქმისა, ვფიცავ, რომ ყოველ ღონეს ვიხმარ, რათა ამ მაღალი ჯილდოს ღირსი ვიყოთ და გავამართლოთ ჩვენთვის აღმოჩენილი ნდობა.

კომუნიზმის დიადი მშენებლობანი, რომლებიც აქ, საბჭოთა კავშირში, ხორციელდება, — ეს მშვიდობის გამარჯვების სამარადისო ძეგლები, — მე, გერმანელ პოეტს, მანიჭებენ სიხარულსა და სიამაყეს, რადგან ისინი მიმაჩნია კაცობრიობის მთელი მშვიდობიანი მისწრაფების, მთელი მშვიდობიანი მოქმედების და, ამასთან, ჩემი ხალხის მთელი უაღრესად მშვენიერი ოცნების დიად განხორციელებად. იქ, ამ მშენებლობებზე, რომლებსაც საბჭოთა ადამიანები აგებენ, ჯდება მშვიდობის მტრედი დედამიწის გარშემო ფრენის დროს. ადამიანის ყოვლისშემძლეობის ამ დიდებული დადასტურების ნახვისას მშვიდობის მტრედს ენიჭება ძალა, რათა ხალხებს მიუტანოს იმის ამბავი, რომ ომი და მშვიდობა ბედისწერა როდია, არამედ ადამიანის საქმეა, რომ სწორედ ადამიანებს, ხალხებს შეუძლიათ შეაჩერონ ომი და შეინარჩუნონ მშვიდობა.

მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ხალხი თავს გამოიჩენს ჩვენი საუკუნის მძლავრ ბრძოლაში — მშვიდობისათვის ბრძოლაში, იგი იქნება თავისუფალი, ბედნიერი ხალხი. გერმანიას შეეძლება კვლავ იქონიოს მსოფლიო მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, როცა ფართო საზოგადოებრიობის ფორუმზე გამოვა როგორც მშვიდობისმოყვარე გერმანია. გერმანია კვლავ თანასწორუფლებიანი იქნება ხალხთა კავშირში მხოლოდ მაშინ, როცა იგი დახმარებას გაუწევს მშვიდობას მის გამარჯვებაში. მხოლოდ მაშინ შეიძლება კვლავ ეწოდოს მას „დიდი პატივის მქონე გერმანია“, როცა მაღლა ეკავება მშვიდობის დროშა. გერმანიას შეუძლია აღორძინდეს როგორც დიდი ქვეყანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობისათვის იბრძოლებს. გერმანიის მდგომარეობა მომავალში დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად გამოიჩენს იგი თავის სიდიადეს, როცა მსოფლიოს დიდ ქვეყანასთან, საბჭოთა კავშირთან კავშირით შეინარჩუნებს მშვიდობას თავის ქვეყანასა და ევროპაში.

გერმანელი ხალხი, ბეჯითი, შრომისმოყვარე, ნიჭიერი ხალხი, პოეტებისა და მოაზროვნეების ხალხი, მხოლოდ მაშინ დაამტკიცებს თავის ეროვნულ სიდიადეს, როცა იგი ბეჯითი და ნიჭიერი იქნება მშვიდობის შენარჩუნების საქმეშიც, როცა იგი თავს გამოიჩენს მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლად, როცა მისი პოეტები და მოაზროვნეები იგრძნობენ მოწოდებას იმოქმედონ როგორც მშვიდობის წარმოგზავნილებმა და მშვიდობისათვის მებრძოლებმა.

ეს ახალი ჰუმანისტური გერმანია სინამდვილედ იქცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ მილიონობით გერმანელი ჩემი სამშობლოს დასავლეთ ნაწილში თავს გრძნობს მჭიდროდ დაკავშირებულად ამ მშვიდობისმოყვარე გერმანიასთან და მას უცქერის როგორც ნიმუშს, როგორც მაგალითს, როგორც გერმანიის მომავალი გაერთიანების საუკეთესო და ერთადერთ შესაძლებლობას.

ეს მშვიდობისმოყვარე, ეს ჰუმანისტური გერმანია ჩვენ ყველას სიამაყეს გვანიჭებს. ამ გერმანიამ მისცა მსოფლიოს ისეთი მშვენიერი გენიოსები, როგორიც არიან ანდრეას გრიფიუსი, იოჰან სებასტიან ბახი, ალბრეხტ დიურერი, ჰელდერლინი, ლესინგი, ჰეგელი და გოეთე, მარქსი და ენგელსი. ეს გერმანია, რომელიც წარმოიშვა თავისუფლებისათვის გერმანელთა ბრძოლაში რომაელ დამპყრობთა წინააღმდეგ, ეს გერმანია, დამარცხებული, მაგრამ არა წელში გატეხილი გლეხთა გმირულ ომებში, გაბრწყინვებული ტომას მიუნცერის გმირული სიკვდილით, ეს გერმანია, რომელიც აღორძინდა 1848 წლის მარტის დღეებში და რომელიც კარლ ლიბკნეხტისა და როზა ლუქსემბურგის ხელმძღვანელობით 1918 წელს გაჰყვა რუსეთის 1917 წლის დიდი რევოლუციის დროშას, ეს გერმანია, რომელიც ხორცშესხმულია ერნსტ ტელმანის სახით, ეს ჩემი გერმანიაა, ეს მშვიდობისმოყვარე გერმანიაა, ეს ჩვენი გერმანიაა, რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გახდა. იგი ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც დიდი იმედის მომნიჭებელი იმიტომ, რომ ეს არის ახალგაზრდა გერმანია, ახალგაზრდობის გერმანია. ისევე როგორც ჩვენი პრეზიდენტი ვილჰელმ პიკი გერმანიის მთელი ისტორიის მანძილზე პირველი პრეზიდენტია, რომელსაც ჩვენი ქვეყანა მშვიდობის გზით მიჰყავს, ისევე როგორც გერმანიის პირველი ეროვნული ჰიმნი გახდა მშვიდობის ჰიმნი, ჩვენ შიგვიძლია ჩვენი ისტორიის მთელ მანძილზე პირველად ვილაპარაკოთ ისეთ გერმანელ ახალგაზრდობაზე, რომელიც აღფრთოვანებით იბრძვის მშვიდობისათვის, რომელიც მზად არის ენთუზიაზმით ემსახუროს ჩვენი სამშობლოს მშვიდობიან მშენებლობას, ახალგაზრდობაზე, რომელიც ესწრაფვის მხოლოდ ერთ რამეს: მშვიდობით იცხოროს ყველა ხალხთან.

ამ ახალგაზრდობას უკვე კარგად ესმის, რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი გერმანელი ერის მომაკვდინებელი მტერია. იგი თვალს არ ხუჭავს იმაზე, რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმის მიზეზით გერმანია არა მარტო გათიშულია, არამედ გერმანიის მიწა-წყალის მნიშვნელოვანი ნაწილი დასავლეთში, რომელიც ოკუპირებულია ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ, როგორც, მაგალითად, პფალცი, გადაქცეულია მტრის სამხედრო პლაცდარმად. მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლას, რომელიც ამავე დროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლაც არის, ორმა ახალგაზრდა გერმანელმა შესწირა თავისი სიცოცხლე და გმირული მაგალითი უჩვენა მთელ გერმანელ ახალგაზრდობას, მთელ გერმანიას. მშვიდობისათვის მოკლული მებრძოლების ფილიპ მიულერისა და ჰელმუტ იუსტის სახელები მრავალ ათასობით სახელთან ერთად უხილავად აწერია ყველა დროშას, რომლებიც მშვიდობისათვის მებრძოლებს უჭირავთ.

მაგრამ წარსული გვასწავლის, რომ არ შეგვიძლია რაჟიმე შევალამაზოთ და დუმილით ავუაროთ გვერდი და რომ ჩვენი დიდი ადამიანური ვალია სიმართლეს ვეუბნებოდეთ ხალხებს. ჩვენ დუმილით არ ვუვლით გვერდს ომის საფრთხის მთელ სერიოზულობას, რაც დასავლეთ გერმანიის მდგომარეობიდან გამომდინარეობს. საჭიროა კვლავ და კვლავ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ადენაუერის მთავრობა გამალებით იარაღდება და ომისა და ომის მოსამზადებელ ბრძოლებს ამზადებს. ეს ფაქტი, ეს ფაქტი ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას, ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას, ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას!

ბატონო თავმჯდომარე, ძვირფასო მეგობრებო!

ეს ფაქტი ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას, ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას, ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას! ეს ფაქტი ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას, ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას, ეწინააღმდეგება ადამიანურ ბუნებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაღავაქციოთ მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგიდან მოწინავე დარგად

ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მეაბრეშუმეობის საკითხებზე შემდგარ თათბირზე

ამხანაგებო! მეაბრეშუმეობა ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი იძლევა მეტად ძვირფას ნედლეულს მაღალხარისხოვანი ქსოვილების წარმოებისათვის. საბჭოთა სახელმწიფო მეაბრეშუმეობას განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მეაბრეშუმეთა შრომის ანაზღაურება მაღალია. მეაბრეშუმეობა კოლმეურნეობათა დიდი შემოსავლის და კოლმეურნეთა განუწყვეტლივ მზარდი კეთილდღეობის წყაროა.

საქართველოს მეაბრეშუმეებმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში დიდი წარმატებები მოიპოვეს. აბრეშუმის პარკის დამზადების დონის მხრივ ჩვენ საბჭოთა კავშირში მეორე ადგილი გვიჭირავს. მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ჩვენი მეაბრეშუმეობა ჩამორჩა იმ მოთხოვნებს, რომლებიც მას აქვს წაყენებული. ყველა შესაძლებლობას ვერ ვიყენებთ მისი შემდგომი ზრდისათვის. უფრო მეტიც, მეაბრეშუმეობის განვითარების დონე, კერძოდ, კოლოფ თესლზე აბრეშუმის პარკის საშუალო გამოსავლიანობა ჩვენში 1938-1939 წლებთან შედარებით შემცირდა.

ეს უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ საქართველოს აბრეშუმის ტრესტმა გააუარესა თავისი მუშაობა, ხოლო მეაბრეშუმეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა შეუწყნარებლად შესუსტდა.

მეაბრეშუმეობის ჩამორჩენა იმის პირდაპირი შედეგია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელობა ჯეროვნად არ აფასებდა მას, არ უზრუნველყოფდა სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის შემდგომი აღორძინებისა და განვითარების ღონისძიებათა შესრულებას.

ჩვენმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, პარტიის საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უახლოეს ხანშივე უნდა მოუღონ ბოლო მეაბრეშუმეობის რაიონებისა და კოლმეურნეობების ჩამორჩენას, უზრუნველყონ უთუოდ განხორციელება დასახული პროგრამისა მეაბრეშუმეობის აღმავლობის დარგში, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ დარგის განვითარების 1950-1960 წლების ათწლიანი გეგმა ითვალისწინებს აბრეშუმის პარკის დამზადების მნიშვნელოვან ზრდას და საკვები ბაზის გაფართოებას. პარკის საერთო მოსავალი 1960 წელს 1950 წელთან შედარებით ერთიორად უნდა გადიდდეს, ხოლო საკვები ბაზა ერთისამად და უფრო მეტად გაფართოვდეს.

მეაბრეშუმეობის განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია მტკიცე საკვები ბაზის შექმნაზე. ამიტომ დასახული ღონისძიებებით გათვალისწინებულია: 1950-1960 წლების განმავლობაში 24 მილიონი მაღალტანიანი თუთის ხის დარგვა, თუთის ხის ახალი პლანტაციების გაშენება 10.000 ჰექტარზე, სანერგე სკოლის გაშენება 2.630 ჰექტარზე, თუთის ხის თესლნერგის გამოყვანა 1.220 ჰექტარზე და სამი სახელმწიფო სანერგის მოწყობა, რომელთაგან თვითეულის ფართობი 80 ჰექტარი იქნება.

1955 წელს ჩვენ უნდა დავამზადოთ 4.000 ტონა აბრეშუმის პარკი, ხოლო 1960 წელს — 7.000 ტონა. 1955 წელს დამზადებული პარკის 90 პროცენტი ხარისხოვანი უნდა იყოს.

ათი წლის მანძილზე კოლმეურნეობებში უნდა აშენდეს აბრეშუმის ჭიის გამოსაკვები 9.780 შენობა, თვითეული საშუალოდ 10 კოლოფი თესლისათვის. ნავარაუდევია აშენდეს და ამუშავდეს აბრეშუმის პარკის საშრობები 5.900 ტონა პარკის სიმძლავრისა, ოთხი დიდი საგრენაჟო ქარხანა და ოთხი მეაბრეშუმეობის საჯიშე სადგური.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მეაბრეშუმეობის განვითარების ამ დიდი პროგრამის შესასრულებლად ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ გვაქვს გაკეთებული. ბევრი საწარმოს მშენებლობა სულაც არ დაწყებულა, ხოლო იქ, სადაც სამშენებლო სამუშაოები უკვე წარმოებს, სახსრების ათვისება შეუწყნარებლად ცუდად მიმდინარეობს.

თუთის ხის ახალი პლანტაციების გაშენების დავალებანი აგრეთვე შეუსრულებელი დარჩა. 1947 წლიდან დაწყებული, არ სრულდება გაზაფხულის გამოკვების პარკის დამზადების გეგმაც. ამან გამოიწვია განმეორებითი გამოკვების ფართოდ გამოყენება, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა მეაბრეშუმეობის საკვებ ბაზას.

ამრიგად, აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შესრულებას სინამდვილეში „უზრუნველყოფდნენ“ თუთის ხის ნარგავების მტაცებლური ექსპლოატაციით. იცოდა რა, რომ აბრეშუმის ჭიის განმეორებითი გამოკვება ჩვენს პირობებში უფრო ცუდ შედეგებს იძლევა, ვიდრე გაზაფხულზე გამოკვება, რომ გაძლიერებული განმეორებითი გამოკვება დიდ ზიანს აყენებს საკვებ ბაზას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელობა მაინც აიძულებდა ორგანიზაციებს, რომლებიც მეაბრეშუმეობის საქმეს განაგებენ, ფართოდ მიემართათ განმეორებითი გამოკვებისათვის. ეს იმისათვის კეთდებოდა, რომ დაეფარათ გაზაფხულის გამოკვების ჩაშლა და ამავე დროს „თავი გამოეჩინათ“ პატაკით გეგმის შესრულების შესახებ. მაგრამ რა ფასი აქვს ასეთ „შესრულებას“, თუ მთელი საქმე უარესდება, თუ მცირდება საკვები ბაზა — მეაბრეშუმეობის საფუძველი?

გასაკვირველი არ არის, რომ მეთუთეობის შემდგომი განვითარებისათვის ზრუნვის უქონლობამ, პლანტაციების ცუდმა მოვლამ და მათმა მტაცებლურმა ექსპლოატაციამ გამოიწვია ხეების მნიშვნელოვანი რაოდენობის დაღუპვა, გააუარესა ნარგავების მდგომარეობა. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში დარგული თუთის ხეების თითქმის ორ მესამედს არ გაუხარია.

ძალიან ცუდად სრულდებოდა თუთის თესლნერგების გამოყვანისა და რგვის გეგმები. მრავალი ხე დარგვის პირველსავე წელს დაიღუპა ნერგების ცუდი მოვლისა და მათი დაბალი ხარისხის გამო. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ორჯონიკიძის, თელავის, ხაშურის, საგარეჯოს და ჭიათურის რაიონებში, სადაც პლანტაციებში დარგული თუთის ხეების გახარება მხოლოდ 24-39 პროცენტს შეადგენს. სამხრეთ ოსეთში 1951 წელს გადარჩა შემოდგომაზე დარგული თუთის ხის ნერგების 38 პროცენტი და ცალკე მდგომი ხეების მხოლოდ 25 პროცენტი.

მეაბრეშუმეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება დღემდე იგრძნობა. 1952 წლის დეკემბრის დამლევისათვის ყვარლის რაიონის, აგრეთვე სხვა რაიონების არც ერთ კოლმეურნეობაში არ შესდგომიან ნიადაგის დამუშავებას, თუთის ხის ნარგავებში ორგანული და მინერალური სასუქების შეტანას.

მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 1951 წელს გაშენებული თუთის ხის 0,5 ჰექტარი პლანტაცია მთლიანად დაიღუპა. ახალციხის რაიონის სოფელ აგარის კოლმეურნეობა „საბჭოთა არმიაში“ პლანტაციები პირუტყვმა გააფუჭა.

ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ხელმძღვანელები, როგორც ჩანს, არ დასჯერდნენ მხოლოდ იმას, რომ პლანტაციებში პირუტყვი „შემთხვევით“ ძოვს. თუთის ხის ნარგავებისადმი უმსგავსო დამოკიდებულება აქ, შეიძლება ითქვას, „დაკანონეს“: თუთის ხეები 6 ჰექტარ ფართობზე მოუვლელია, ნაწილობრივ გაჩეხილია, და პლანტაციები საძოვრებად არის გადაქცეული!

ძალიან ცუდ მდგომარეობაშია სანერგე მეურნეობის საქმეც. წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში 0,5 ჰექტარი თუთის თესლნერგი მთლიანად დაიღუპა, ხოლო 0,3 ჰექტარი სანერგე სკოლა სრულიად მოუვლელად არის მიტოვებული. ქუტაისის სასოფლო საბჭოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში თუთის სტანდარტული ნერგების გამოსავლიანობის გეგმა მხოლოდ 2 პროცენტით შესრულდა. ყვარლის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში და კოლმეურნეობა „კუდიგორაში“ უკანასკნელი 3 წლის მანძილზე გაშენებულ 24 ჰექტარ სანერგიდან 1952 წელს არც ერთი სტანდარტული ნერგი არ მიღიოდა. სტანდარტული ნერგების გამოყვანის მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებშია. ზოგიერთ რაიონსა და კოლმეურნეობაში სანერგეებს, თუთის ხის პლანტაციებსა და განსაკუთრებით ცალკე მდგომ ხეებს სათანადოდ არ უვლიან. სანერგეების ნიადაგს ხშირად დაუმუშავებელს ტოვებენ და იგი სარეველა მცენარეებით იფარება.

სანერგეებისა და პლანტაციებისათვის ნაკვეთების შერჩევის, აგრეთვე ნიადაგის დამუშავებისა და თუთის ნარგავების მოვლის წესები მეტწილ შემთხვევებში უხეშად ირღვევა. სანერგეებისა და პლანტაციების ნიადაგში არ შეაქვთ სასუქები, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ნიადაგს არ რწყავენ.

ბევრი კოლმეურნეობა თავის საწარმოო გეგმებში არ ითვალისწინებს მეაბრეშუმეობის, კერძოდ მეთუთეობის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორც წესი, არ გამოჰყოფს მეაბრეშუმეობის სპეციალურ ბრიგადებს, ხოლო იქ, სადაც ეს ბრიგადები შექმნეს, ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ.

სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული გარეული თუთის ტყის მასივები. ლეჟბადინის, ჭიაურისა და ჭალადიდის მასივები კი, რომლებიც ძირითადად თუთის ხეებისაგან შედგება, სერიოზულად შეეშიშლებოდა აბრეშუმის ჭიის გამოკვების საქმეს. მაგრამ ეს საკითხი, როგორც ჩანს, ნაკლებად აინტერესებს პარტიის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, საოლქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს. უფრო მეტიც, პარტიის მარნეულის რაიკომსა და რაიონული საბჭოს აღმასკომს მიაჩნიათ, რომ თუთის ხის ლეჟბადინის ნარგავები უნდა ამოიძირკოს, ხოლო რაიონში პარკის დამზადების გეგმა შემცირდეს.

ჩანს, ზოგიერთ მარნეულელ მუშაკს იმის მეტი საქმე არა აქვს, რომ მეაბრეშუმეობის „გაუქმების“ პროექტებს ადგენდეს.

სამწუხაროა, რომ ჩვენი პრესა დუმილით უვლის გვერდს ასეთ „პროექტებს“, შეიდრინის გმირების ასეთ მიმბაძველთა წინააღმდეგ არ მიმართავს სატირის იარაღს.

მეთუთეობის განვითარებაში კოლმეურნეობებისათვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, რომლებიც მოწოდებული არიან მოახდინონ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მეთუთეობაში, მაგრამ ისინი განზე უდგანან ამ გადაუდებელ საქმეს.

სავსებით ცხადია, რომ მეაბრეშუმეობის რაიონების სასოფლო-სამეურნეო ორგანოები და კოლმეურნეობათა გამგეობები ჯეროვნად არ ზრუნავენ მეაბრეშუმეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად, ხოლო პარტიის ზოგიერთი საოლქო და რაიონული კომიტეტი ურიგდება ამას. ისინი კონტროლს არ უწევენ, არ წარმართავენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობათა გამგეობების მუშაობას.

ჩემ მიერ მოყვანილი მაგალითები, აგრეთვე მრავალი სხვა ფაქტი ცხადყოფს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში მეაბრეშუმეობას არათუ ჯეროვნად არ აფასებდნენ, არამედ კიდევაც უგულებელყოფდნენ. ამაზე აშკარად არ ლაპარაკობდნენ, ცდილობდნენ დაეფარათ ასეთი ფაქტები. ისინი ცნობილი გახდა მხოლოდ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ. მაგრამ ახლა მათ შესახებ მხოლოდ აშკარად ლაპარაკი არ კმარა. ახლა საჭიროა მუშაობა და მუშაობა. საჭიროა გამოვავლინოთ და აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი. საჭიროა სერიოზულად, სახელმწიფოებრივად მოვკიდოთ ხელი მეაბრეშუმეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, ურომლისოდაც წარმოუდგენელია სოფლის მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის აღმავლობა.

მეაბრეშუმეობის დარგში მომუშავე ჩვენი ინტელიგენციის, ჩვენი სპეციალისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მათ წინაშე დასახული ამოცანების გადაჭრაში. დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე გააკეთეს თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა ამხანაგებმა ჯაფარიძემ, შაბლოვსკაიამ, დიდიძემ და მარჯანიშვილმა. მათ გამოიყვანეს თუთის ხის ახალი უხვმოსავლიანი ჯიშები — „გრუზია“, „თბილისური“, „ქუთათური“ და „თბილნიშ № 7“, რომლებიც ფოთლის გაცილებით მეტ მოსავალს იძლევიან, ვიდრე არსებული ჯიშები.

ვინ მუშაობს ამ ჯიშების დანერგვაზე? თურმე არავინ. ამ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეს ჯეროვნად არ აფასებდნენ, და ადამიანები, რომლებიც უკვე რვა წელიწადია ცდილობენ გაავრცელონ თუთის ხის ახალი ჯიშები, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვერ გააკეთებენ, თუ საჭირო მხარდაჭერა არ ექნათ. რვა წლის განმავლობაში კი ჩვენ შეგვეძლო გაგვეზარდა ახალი ჯიშების თუთის სულ მცირე რვა მილიონი ხე. ხომ ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს რაიონებში წლის განმავლობაში რგავდნენ 15 — 20 მილიონ ძირ ევკალიპტს, ამასთან უზრუნველყოფდნენ მათს კარგ მოვლას. რატომ არ კეთდებოდა ეს თუთის ახალი ჯიშების მიმართაც? იმიტომ, რომ ბევრ ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაკს, სამწუხაროდ, დღემდე ვერ შეუგნია თუთის ხის ახალი ჯიშების მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელების საჭიროება და დიდი მნიშვნელობა.

თუთის ხის ამ ძვირფასი ჯიშების პოპულარიზაციას სუსტად ეწევა ჩვენი პრესაც. იგი ფართოდ უნდა განუმარტავდეს მოსახლეობას თუთის ხის მშვენიერი ჯიშის „გრუზიას“ და სხვა ჯიშების გაშენების დიდ მნიშვნელობას, ამხილებდეს, ამათრახებდეს ბიუროკრატებსა და რუტინერებს, რომლებიც ხელს უშლიან ახლის, მოწინავის წინწაწევას მეაბრეშუმეობის საქმეში. ჩვენს გაზეთებს კიდევ ერთი რამ უნდა ვუსაყვედურო: მათს ფურცლებზე იშვიათად ვხვდებით შენიშვნებს, კორესპონდენციებს, სტატიებსა და სხვა მასალებს მოწინავე მეაბრეშუმეთა შესახებ. მათს გამოცდილებას კი ნათლად, დამაჯერებლად უნდა ვუწევდეთ პროპაგანდას, ფართოდ ვაუწყებდეთ მეცნიერთა მუშაობასა და წარმატებებს, იმ კოლმეურნეობათა მიღწევებს, რომლებიც მეაბრეშუმეობას მისდევენ.

წარსულში მეაბრეშუმეობას ჯეროვნად რომ არ აფასებდნენ, ამან ის გამოიწვია, რომ ჩვენში, საქართველოს აბრეშუმის ტრესტის ცნობებით, 1952 წელს ითვლებოდა თუთის ხის ჯიშიანი ნარგავები მხოლოდ 1.016.000 ძირი, აქედან „გრუზია“ — 923.000 ძირი, „ქუთათური“ — 72.000, „თბილისური“ — 16.000 და „თბილნიშ № 7“ — 5.000 ძირი.

ბევრ რაიონში ამ ჯიშებს ისე ცუდად ამყნობენ, რომ ნამყენის მნიშვნელოვანი ნაწილი იღუპება. ამან არ შეიძლება არ გამოიწვიოს არა მარტო გაკვირვება, არამედ აღშფოთებაც. ჩვენ ვისწავლეთ ციტრუსების კარგად დამყნობა და მილიონობით ნერგის გამოყვანა, ხოლო თუთის ხის საქმე, რომელიც გაცილებით ნაკლებ მზრუნველობას მოითხოვს, ძალიან ცუდად არის დაყენებული.

თუთა კი ძალიან ძვირფასი ხეა. გარდა ფოთლისა, რომელიც აბრეშუმის ჭიის გამოკვებას ხმარდება, იგი იძლევა გლუკოზით მდიდარ ნაყოფს, ლამაზი დეკორაციული მცენარეა. მოსახლეობას უნდა შევაყვაროთ თუთის ხის ნარგავები, ვასწავლოთ თვითეული ნარგავისადმი მზრუნველი დამოკიდებულება.

ფართოდ უნდა დავნერგოთ თუთის ხის ახალი ჯიშები, რომლებიც 2,5 — 3-ჯერ მეტ და უკეთესი ხარისხის ფოთოლს იძლევიან, ვიდრე არსებული ჯიშები. კოლმეურნეებს უნდა განვუმარტოთ, რომ თუ არსებულ თუთის ხეებზე ჯიშიანს დავამყნობთ, უკვე ორი წლის შემდეგ ისინი გადაიცვლიან სრულფასოვან ჯიშიან ხეებად, რომ ახალ პლანტაციებს უკვე 5-6 წლის შემდეგ შეუძლიათ მოგვცენ პირველი მოსავალი. ასეთია თუთის ხის ახალი ჯიშების უპირატესობა, რომელიც მეაბრეშუმეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის განსაკუთრებით დიდ შესაძლებლობას იძლევა.

მაგრამ ხის დარგვა არცთუ ისე ძნელი საქმეა. მთავარია შევინარჩუნოთ იგი, შევუქმნათ მას ზრდისა და განვითარების ნორმალური პირობები. საჭიროა განუხრელად ვასრულებდეთ მითითებას მინდორსაცავ ზოლებში თუთის ხის შეტანის შესახებ. მას უნდა ვრგავდეთ გუბურებისა და წყალსატევების გარშემო, გზების კიდეებზე, სარწყავი არხების გაყოლებით, ბაღებისა და ვენახების საზღვრებზე. უნდა ითქვას, რომ არც ამ საქმეს ექცევა საჭირო ყურადღება. რაღა შორს წავიდეთ, როცა საქართველოს აბრეშუმის ტრესტის თვით მუშაკები და მისი მმართველი ამხ. არეშიძე იმაზეც კი არ ზრუნავენ, რომ თავიანთი დამამზადებელი პუნქტების ტერიტორიაზე დარგონ თუთის ხეები, არ უზრუნველყოფენ არსებული ნარგავების მოვლას. ნამდვილად კი სწორედ საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მუშაკები უნდა იძლეოდნენ თუთის ხისადმი მზრუნველი, სათუთი დამოკიდებულების მაგალითს. დამამზადებელ პუნქტებში ხშირად დადიან ხოლმე კოლმეურნეები, და ის, რასაც ისინი იქ ხედავენ, რამდენადმე განსაზღვრავს მათს დამოკიდებულებას მეაბრეშუმეობისადმი.

ამხ. არეშიძემ და ტრესტის თანამშრომლებმა უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა. ცენტრალური კომიტეტი მეაბრეშუმეობის დარგში მომუშავე ადამიანებზე, ისევე როგორც სამეურნეო მშენებლობის სხვა უბნებზე მომუშავე ადამიანებზეც, იმსჯელებს არა წარმოთქმული სიტყვების, დაპირებებისა და ვალდებულებების რაოდენობის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რამდენ ცენტნერ და როგორი ხარისხის პარკს და სხვა პროდუქციას ჩაბარებენ ისინი სახელმწიფოს. ეს ერთადერთი, სწორი საზომია ამა თუ იმ მუშაკის საქმიანობის შეფასებისა, და ეს საზომი მტკიცედ უნდა დავიცვათ.

ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეაბრეშუმეობის განვითარებას რესპუბლიკაში და ამ საქმეს პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უაღრესად სერიოზულ ყურადღებას მიაპყრობს.

საჭიროა დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ თუთის ხის მოვლისადმი დანაშაულებრივად დაუდევარი დამოკიდებულება, არ დავუშვათ აგროწესების დარღვევა, სანერგეებსა და პლანტაციებში მთლიანად, დროზე და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ ყველა სამუშაო, კოლმეურნეობებში თუთის ნარგავები გავაშენოთ არა მარტო წვრილ ნაკვეთებად, არამედ რამდენიმე ჰექტარი ფართობის დიდ მასივებადაც და იმ ადგილებთან რაც შეიძლება ახლოს, სადაც საკოლმეურნეო საჭიეებია. თუთის ხის ნარგავების მტაცებლური ექსპლოატაცია და გაჩეხვა გადაჭრით უნდა აღიკვეთოს.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები ძალიან ბევრ საკითხზე მუშაობენ, მაგრამ რატომღაც მხედველობიდან უშვებენ მეაბრეშუმეობას. ეს ყოვლად შეუწყნარებელია. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ცუდია ის ხელმძღვანელი, რომელიც ყურადღებას აქცევს მეურნეობის ერთ რომელიმე დარგს და ივიწყებს მეორეს. ეს არ უნდა ხდებოდეს. საჭიროა ვისწავლოთ მეურნეობის ყველა დარგის ერთდროულად გაუმჯობესება, ამაღლება, განვითარება, წინწაწევა.

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია საქართველოს კომპარტიის ჯერ კიდევ XI ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ საჭიროა მეაბრეშუმეობაში დაინერგოს მოწინავე მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები, უმჯობესდებოდეს აბრეშუმის ჭიის გამოკვების ტექნიკა.

„წულუკიძის რაიონის მოწინავე მეაბრეშუმე სტახანოველი ქალების ინიციატივით დაწყებული შეჯიბრების შედეგად, — ამბობდა ამხანაგი ლ. პ. ბერია, — მიმდინარე წელს ჩვენმა სტახანოველმა მეაბრეშუმე ქალებმა რეკორდები გვიჩვენეს გამოკვების ვადებისა და პარკის ხარისხის მხრივ. თელავის, მახარაძისა და წულუკიძის რაიონების კოლმეურნე ქალებმა წელს მიაღწიეს აბრეშუმის ჭიის გამოკვებას 19-24 დღეში და გაადიდეს აბრეშუმის გამოსავალი“.

ნოვატორებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს აბრეშუმის ჭიის გამოკვების ვადები. მათი მეთოდის გამოყენებით საქართველოს მოწინავე მეაბრეშუმენი ყოველ კოლოფ თესლზე 80-100 და მეტ კილოგრამ პარკს იღებენ. მეაბრეშუმეობის ასეთ ოსტატთა რიცხვს ეკუთვნიან მერგოლურები ნადეჟდა ბერძენიშვილი მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში, ლოლა კომახიძე ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფლის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში, კლავდია ლომაძე ქუთაისის რაიონის სოფელ საყულიის კოლმეურნეობა „კომუნარში“, მინადორა ტყეშელაშელი წყალტუბოს რაიონის სოფელ მაღლაკის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში, ლიდა ბარაბაძე წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში და სხვა მოწინავე მეაბრეშუმეები.

და მაინც აბრეშუმის ჭიის გამოკვების ახალი ხერხები ჩვენში სუსტად არის გავრცელებული. საკოლმეურნეო წარმოებაში მათს დანერგვას ხელს უშლის, კერძოდ, ის, რომ კოლმეურნეობათა დიდ უმრავლესობაში საჭიეები არ არის. მათი მშენებლობის გეგმა ჩაშლილია. ეს აიხსნება როგორც იმით, რომ პარტიის საოლქო კომიტეტები, საოლქო აღმასკომები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, პარტიის რაიკომები და რაიაღმასკომები მეაბრეშუმეობას საკმაო ყურადღებას არ აქცევენ, ისე იმით, რომ რთული და ძვირია საჭიეები, რომლებიც ტიპური პროექტებით შენდება. ეს ტიპური პროექტები უნდა გადაისინჯოს, მნიშვნელოვნად გამარტივდეს, შემცირდეს მშენებლობის ღირებულება, მკვეთრად შემცირდეს ხე-ტყის მასალის ხარჯვა.

მოწინავე მეაბრეშუმეები ნამდვილი რევოლუციონერები არიან მეაბრეშუმეობაში. ისინი ერთიორად და უფრო მეტად ამცირებენ აბრეშუმის ჭიის გამოკვების ვადას, მნიშვნელოვნად ზრდიან პარკის გამოსავლიანობას და მის ხარისხს. მოწინავე სტახანოველი ქალები ამას აღწევენ ძირითადად იმის მეოხებით, რომ გაძლიერებით კვებავენ აბრეშუმის ჭიას, საჭიეებში იცავენ სათანადო ტემპერატურას და ჰაერის ტენიანობას, აგრეთვე წმენდენ იქ ჰაერს.

თუმცა აქ ლაპარაკია გაძლიერებულ კვებაზე, მაგრამ შედეგად გამოდის ფოთლის ხარჯვის ეკონომია ჭიის კვებაზე და ეკონომია შრომაში, ვინაიდან ამ გზით კვების ვადა 40-48 დღიდან მცირდება 19-24 დღემდე. გამოანგარიშებამ ცხადყო, რომ საკვების ხარჯი და დახარჯული შრომადღეების რაოდენობა ამ შემთხვევაში ერთიორად მცირდება.

სწორედ ამიტომ მტკიცედ და ყველგან უნდა დავნერგოთ მოწინავე მეაბრეშუმეთა გამოცდილება. ამას უთუოდ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან უზრუნველყოფს მეაბრეშუმეობის ახალ მძლავრ აღმავლობას.

კვების ვადების შემცირებას, რასაც მეაბრეშუმეობის მოწინავეებმა მიაღწიეს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის. აბრეშუმის ჭიის გამოკვების დრო, როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოს რაიონებში ემთხვევა ჩაის ფოთლის კრეფასთან დაკავშირებული დაძაბული მუშაობის პერიოდს, როცა კოლმეურნეთა უმრავლესობა ამ საქმეზე მუშაობს. ამიტომ ყოველნაირად უნდა შევუწყოთ ხელი სტახანოველ მეაბრეშუმეებს, ფართოდ გავავრცელოთ, დავნერგოთ მათი გამოცდილება საკოლმეურნეო პრაქტიკაში. ბიუროკრატები და კონსერვატორები, რომლებიც ნოვატორებს მხარს არ უჭერენ, დღის სინათლეზე უნდა გამოვიყვანოთ, წესრიგისაკენ მოვუწოდოთ და სასტიკად დავსაჯოთ.

სამწუხაროდ ყველა ჩვენს მუშაკს ჯეროვნად როდი შეუფასებია აბრეშუმის ჭიის კვების ახალი წესის აშკარა უპირატესობანი. უფრო მეტიც, ზოგიერთ მუშაკს რომ ჰკითხო, თუ რა არის ამ მოწინავე მეთოდის არსი, გამოირკვევა, რომ მათ ამ მეთოდის ძირითადი პრინციპებიც კი არ იციან. ამ მეთოდს საჭიროა არა მარტო გაეცნო, არამედ კარგადაც შეისწავლო იგი, რათა საქმის სრული ცოდნით უხელმძღვანელო ნოვატორთა გამოცდილების პროპაგანდას, მის გადაჭრით დანერგვას საკოლმეურნეო წარმოებაში.

მეაბრეშუმეობის საქმის ნოვატორთა მეთოდების პროპაგანდაში ყველა ფორმა და საშუალება უნდა გამოვიყენოთ. საჭიროა გამოვცეთ ბროშურები და პლაკატები, რომლებშიც ნათლად, გასაგებად, საინტერესოდ იქნება გადმოცემული მეაბრეშუმეობის მოწინავეთა გამოცდილება, ხელი შევუწყოთ ამ გამოცდილების ფართოდ გავრცელებას კოლმეურნეთა შორის.

მეაბრეშუმეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია უახლესი ტექნიკისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვა საგრენაჟო ქარხნებსა და დამამზადებელ პუნქტებში. ამ საქმისადმი კი ცოტა ვინმე თუ იჩენს ინტერესს. დღემდე საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, დაინერგოს თუ არ დაინერგოს წარმოებაში ამხ. უგრეხელიძის სისტემის ახალი დამხარისხებელი მანქანა, რომელიც უზრუნველყოფს პარკის უფრო გულდასმით დახარისხებას სქესის მიხედვით, ვიდრე არსებული მანქანა „ოპკ“. ამხ. უგრეხელიძის სისტემის მანქანის ორმა ეგზემპლარმა, რომლებიც ქუთაისის საგრენაჟო ქარხანაში დადგეს, კარგი მაჩვენებლები მოგვცა. მაგრამ საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტრო და საქართველოს აბრეშუმის ტრესტი, რომლებიც უწინარეს ყოვლისა უნდა იყვნენ დაინტერესებულნი პარკის დახარისხების მექანიზაციით, შეუწყნარებლად აჭიანურებენ ამ მანქანის ქარხნებში დადგმას.

ჩვენი აბრეშუმის მრეწველობა მეაბრეშუმეებისაგან მოელის არა საერთოდ პარკს, არამედ კარგი ხარისხის პარკს. ასეთია თეთრი პარკი, რომელიც, ახლა გავრცელებული ყვითელი პარკისაგან განსხვავებით, უფრო მაღალი ხარისხის აბრეშუმის ქსოვილებს იძლევა. საჭიროა გამოვყოთ და წარმოებაში დავნერგოთ აბრეშუმის ჭიის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

გადავაქციოთ მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგიდან მოწინავე დარგად

ამხ. ა. ი. მგელაძის სიტყვის დასასრული

თეთრპარკიანი ჯიშები. ამ მიმართულებით მუშაობა საქართველოში თუმცა წარმოებს, მაგრამ მისი შედეგები ვერ გვაკმაყოფილებს.

რით არის გამოწვეული. ჩვენი ჩამორჩენა მეაბრეშუმეობის დარგშიც? უმთავრესად პარადული კეთილდღეობისა და თვითკმაყოფილების იმ ვითარებით, რომელიც თქვენთვის ცნობილია, უზრუნველობითა და დოყლაპიობით. საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო უზრუნველობას, უდარდელობას, დოყლაპიობას ჩვენს მუშაობაში, და სამეურნეო მშენებლობის საქმე ყველა უბანზე გაცილებით უკეთ წავა, ვიდრე ახლა.

მხოლოდ გულუბრყვილო ან პოლიტიკურად უსუსურ ადამიანებს შეუძლიათ იფიქრონ, რომ ჩვენში აღარ არსებობს მავნებლობის საფრთხე, რომ რაც უფრო მეტ წარმატებებს ვაღწევთ კომუნისტურ მშენებლობაში, რაც უფრო მეტად იზრდება ჩვენი ძალები, თითქოს მით უფრო ქრება კლასობრივი ბრძოლა, ხოლო მტრები უწყინარი ხდებიან. ასე ფიქრი და მსჯელობა შეუძლიათ ან პოლიტიკურად ბრმებს, ან იმ ადამიანებს, რომლებიც ანტიმარქსისტულ, ანტილენინურ პოზიციებზე დგანან.

მტრული ელემენტები ახლა ცდილობენ იმოქმედონ ფარულად, შეპარვით. სარგებლობენ რა ზოგიერთი ჩვენი ადამიანის უზრუნველობითა და უდარდელობით, ისინი ეძებენ ყოველ ოდნავ საძრომს, იყენებენ ყოველ გაუფრთხილებლობას, რათა ხელი შეუშალონ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს. შენიღბული მტრები ცდილობენ ზიანი მოგვაყენონ ჩვენი მუშაობის ყველა უბანზე. თუ ავიღებთ, მაგალითად, მეაბრეშუმეობას, მტერს არ შეიძლება არ „აინტერესებდეს“ ჩვენი მეურნეობის ეს მნიშვნელოვანი დარგი, ჩვენი აბრეშუმის მრეწველობა. არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვფიქრობდეთ, რომ იგი აქაც არ ცდილობს იმოქმედოს, რათა ჩაშალოს ნოვატორების გამოცდილების დანერგვა, ნოვატორებისა, რომლებიც ამცირებენ აბრეშუმის ჭიის გამოკვების ვადებს და აუმჯობესებენ პარკის ხარისხს. მტრები ხელს უშლიან აბრეშუმის ჭიის ახალი, კერძოდ, თეთრპარკიანი ჯიშების გამოყვანას, მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, თუთის ხის უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანას. მტერს ესმის, რომ ყოველივე ამის დანერგვა მეაბრეშუმეობის პრაქტიკაში — ნიშნავს ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების კიდევ უფრო ამაღლებასა და განმტკიცებას. მტერმა იცის ეს და ყოველნაირად ეცდება ხელი შეუშალოს ასეთ ღონისძიებათა განხორციელებას. მხოლოდ დოყლაპიები, უზრუნველი ადამიანები, მოლაყბეები, რომლებიც ჩვენში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან, ვერ ხედავენ სახელმწიფო დავალების ზოგიერთ ჩაშლაში საქმის პოლიტიკურ მხარეს, მხოლოდ ცუდი მუშაობის შედეგად თვლიან ჩვენი მეურნეობის ამა თუ იმ უბნის ჩამორჩენას.

ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ კომუნისტების, ყველა საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური სიფხიზლე, აღმოვფხვრათ უდარდელობა და დოყლაპიობა, და მაშინ სახალხო მეურნეობის ჩამორჩენილ უბნებზე საქმე გამოსწორდება, წავა ისე, როგორც პარტია მოითხოვს. ვისაც ეს არ ესმის, ვისაც უნარი არ შესწევს ან არა სურს დღევანდელი მოთხოვნების დონემდე ამაღლდეს, — მან თავის თავს დაებრალოს. ჩვენ მოგვიხდება თავიდან მოვიშოროთ ასეთი „მუშაკები“.

როცა ჩვენს მეაბრეშუმეობაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ დადებითი მუშაობა თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა, რომლის მუშაკებმა გამოიყვანეს აბრეშუმის ჭიის ახალი თეთრპარკიანი ჯიშები, — „თბილნიშ № 1“, „იმერული“, „კახური“ და „კოლხიდა“. ამ ჯიშებიდან პირველი სამი შემოწმებულია. ისინი დადებითად განსხვავდებიან არსებული ჰიბრიდებისაგან როგორც პარკის გამოსავლიანობით, ისე აბრეშუმიანობით. თუ ზოგჯერ ისინი რამდენადმე ნაკლებ მოსავალს იძლევიან, ვიდრე ცნობილი ძველი ჯიშები, ეს იმით უნდა აიხსნას, რომ თეთრპარკიანი აბრეშუმის ჭიის მოვლის აგროტექნიკა ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შემუშავებული, რომ მეაბრეშუმენი ჯერ კიდევ მთლიანად არ დაუფლებიან მისი მოვლის მეთოდებს.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს ფართოდ დავნერგოთ საკოლმეურნეო წარმოებაში აბრეშუმის ჭიის ახალი ჯიშები „თბილნიშ № 1“, „იმერული“ და „კახური“. რაც შეეხება ჯიშ „კოლხიდას“, მან ჯერ კიდევ სახელმწიფო გამოცდა უნდა გაიაროს. მაგრამ ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ეს ჯიში ყველაზე გამოსადეგი იქნება ქუთაისის ოლქის დაბლობი რაიონებისათვის, აფხაზეთისა და აჭარისათვის.

თბილისის მეაბრეშუმეობის ინსტიტუტმა უფრო მეტი მონდომებით უნდა გამოიყვანოს და წარმოებაში დანერგოს აბრეშუმის ჭიის მაღალპროდუქტიული თეთრპარკიანი ჯიშები, აგრეთვე თუთის ხის ახალი ჯიშები.

ამხანაგებო, ჩვენს მეაბრეშუმეობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. უძველესი დროიდან იგი საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას შეადგენდა, დიდ როლს ასრულებდა მის ვაჭრობაში. მტრებს ესმოდათ სოფლის მეურნეობის ამ დარგის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში. სწორედ ამიტომ ისინი შემოსევის დროს ესოდენ გააფთრებით სპობდნენ თუთის ხის ნარგავებს. ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო შეენარჩუნებინა ეს ძვირფასი კულტურა, მეურნეობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მეაბრეშუმეობა მეტად პრიმიტიულად წარმოებდა. ახლა, საბჭოთა ხანაში, მეაბრეშუმეობისათვის შექმნილია მძლავრი ტექნიკური ბაზა.

ახლა ჩვენში აშენებულია და მუშაობს მრავალი საგრენაჟო ქარხანა.

ახლა ჩვენში შექმნილია, კარგად გამოწრთობილი და აღზრდილია მეაბრეშუმეობის სპეციალისტთა და პრაქტიკოს-ნოვატორთა მრავალრიცხოვანი კადრები.

ახლა, — და ეს ყველაზე მთავარია, — ადამიანები სხვა, ახალი გახდნენ. ძირფულად შეიცვალა მათი დამოკიდებულება შრომისადმი, როგორც სიმამაცისა და ღირსების, გმირობისა და დიდების საქმისადმი.

ახლა ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ მეაბრეშუმეობა ჩვენში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მოწინავე, სანიმუშო დარგი გახდეს. ჩვენ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ამას და, რა თქმა უნდა, მივაღწევთ.

ცალკე უნდა შევჩერდე მეაბრეშუმეობის განვითარებაზე აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში. ყველა მონაცემი მოწმობს, რომ აქ იგი უფრო მაღალ შედეგებს იძლევა, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ეს ჰავის ხელსაყრელი პირობებით აიხსნება. მიუხედავად ამისა, მეაბრეშუმეობა თბილისის ოლქში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ძალიან სუსტად არის განვითარებული. კარგად დაყენებული მეაბრეშუმეობა კი მნიშვნელოვნად გაადიდებდა აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობათა შემოსავალს, ეკონომიკურად უფრო განამტკიცებდა მათ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებდა კოლმეურნეთა კეთილდღეობას.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში, კერძოდ, მარცვლეულის რაიონებში, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მექანიზებულია თითქმის 80 პროცენტით, რაც დასავლეთ საქართველოში ჯერჯერობით არ არის. ეს კვლავ და კვლავ მოწმობს იმას, რომ მეაბრეშუმეობა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში შეიძლება გაცილებით უფრო განვითარდეს და უნდა განვითარდეს კიდეკაც.

დამახასიათებელია, რომ უკანასკნელ წლებში თბილისის ოლქში თითქმის არ აღნიშნულა აბრეშუმის ჭიის დაავადება, ხოლო პარკის გამოსავლიანობა და ხარისხი გაცილებით უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. ამ პირობებში მეტად უცნაურია, რომ თბილისის ოლქის რაიონების ხვედრითი წონა რესპუბლიკის მეაბრეშუმეობაში 1952 წელს 15,4 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1953 წლისათვის დაგეგმილია 15,9 პროცენტის ოდენობით, მაშინ როცა თბილისის ოლქშია საქართველოს თუთის ხის მთელი ნარგავების 17,2 პროცენტი. ასეთ დაგეგმვას, რა თქმა უნდა, არ შეიძლება დავეთანხმოთ. თბილისის ოლქის მეაბრეშუმეობის ხვედრითი წონა 1954 წელს აყვანილ უნდა იქნას დაახლოებით 18 პროცენტამდე. შემდეგში კი მეაბრეშუმეობის განვითარება იმ ანგარიშით უნდა დავგეგმოთ, რომ 1960 წელს ოლქმა რესპუბლიკაში დამზადებული მთელი პარკის სულ მცირე 30-35 პროცენტი დაამზადოს. ამის გათვალისწინებით თუთის ხის სანერგეებისა და პლანტაციების გაშენების, საჭიეების მშენებლობის გეგმები იმ ანგარიშით უნდა გადავსინჯოთ, რომ უზრუნველვყოთ მეაბრეშუმეობის უფრო სწრაფი განვითარება თბილისის ოლქის რაიონებში.

ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტის კომისიის მიერ წარმოდგენილ ღონისძიებათა საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოამზადეს პროექტი დადგენილებისა, რომელშიც დასახულია ჩვენი მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის ღონისძიებანი. ამ დადგენილებაში გათვალისწინებული იქნება დღევანდელ თათბირზე გაკეთებული შენიშვნები და წამოყენებული წინადადებები.

ამ გადაწყვეტილებას რომ მიიღებს, ცენტრალური კომიტეტი საოლქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, საქართველოს აბრეშუმის ტრესტის სპეციალისტებსა და ყველა მუშაკს მოსთხოვს განუხრელად განახორციელონ იგი.

ჩვენი მეაბრეშუმეობის აღმავლობასთან დაკავშირებული დიდი, რთული ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ ფორმალური დამოკიდებულება პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი, უზრუნველვყოთ მათი დროულად და ზუსტად შესრულება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იდგეს შესრულების შემოწმება, რომ მუშაობის სტალინური სტილის დამახასიათებელ თვისებასა და თავისებურებას წარმოადგენს თეორიისა და პრაქტიკის, სიტყვისა და საქმის, გადაწყვეტილებისა და შესრულების ერთიანობა.

მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების საკითხები განხილულ უნდა იქნას პარტიული კომიტეტების მორიგ პლენუმებზე. კოლმეურნეობების, საგრენაჟო ქარხნების, საქართველოს აბრეშუმის ტრესტის საოლქო და რაიონული კანტორების პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ფართოდ განუმარტონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება კოლმეურნეებს, მუშებსა და მოსამსახურეებს, დარაზმონ ისინი მიღებული გადაწყვეტილების სანიმუშოდ შესრულებისათვის საბრძოლველად. ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ, საქართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკმა ენერგიულად, ბეჯითად, მთელი სიმტკიცით უნდა მოჰკიდოს ხელი მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების საქმეს.

პარტიის საოლქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან ყოველდღიურ კონტროლს უწევდნენ მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის დასახულ ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობას, მუშაობაში იცავდნენ ჩვენი პარტიის ნაცად პრაქტიკას — ერთმანეთთან ახამებდნენ შესრულების ზემოდან შემოწმებას და ქვემოდან შემოწმებას, სისტემატურად აცნობებდნენ ცენტრალურ კომიტეტს, თუ რა მუშაობაა გაწეული ამ დარგში.

კარგი, საქმიანი გადაწყვეტილების მიღება — ეს ჯერ კიდევ სრულებითაც არ არის ყველაფერი, ეს საქმის მხოლოდ ნაწილია. მთავარია ის, რომ შევასრულოთ ეს კარგი გადაწყვეტილება. ზოგჯერ ჩვენ საუცხოო ღონისძიებებს ვსახავთ, მაგრამ ზოგიერთ მუშაკს არ ჰყოფნის უნარი, სიმტკიცე მათი შესრულებისათვის, და პრაქტიკული ღონისძიებანი ფარატინა ქაღალდად იქცევა. საქმისადმი ასეთ დამოკიდებულებას ბოლო უნდა მოეღოთ. ეს განსაკუთრებით კარგად უნდა შეითვისოს ყველა იმან, ვინც ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს მთავრობის წინაშე პასუხისმგებელია მეაბრეშუმეობის დარგში ჩვენ მიერ შემუშავებულ ღონისძიებათა შესრულებისათვის, ყველამ — მინისტრიდან აგრონომამდე. ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს, რომ უაღრესად ზუსტად შესრულდეს გადაწყვეტილებანი, რომლებითაც გათვალისწინებულია მეაბრეშუმეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა.

რაიონების, ოლქების, ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა გაკვეთილი უნდა გამოიტანონ ყოფილი ხელმძღვანელობის მიერ ამ მნიშვნელოვან საქმეში დაშვებული შეცდომებიდან, ახლებურად მოეკიდონ ამ საქმეს და გადაჭრით გარდაქმნან თავიანთი მუშაობა. გარდაქმნან იგი ისე, რომ უახლოეს ხანში გადააქციონ ჩვენი მეაბრეშუმეობა სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგიდან მოწინავე დარგად, რათა უკვე მომავალ წელს შეგვეძლოს მოვახსენოთ ამხანაგ სტალინს, რომ ჩვენ წარმატებით ვასრულებთ მეაბრეშუმეობის აღმავლობისა და განვითარებისათვის ბრძოლაში ჩვენი რესპუბლიკის წინაშე დასახულ ამოცანებს.

თათბირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომიტეტში მეაბრეშუმეობის საკითხებზე

საქართველოში მრავალდარგიანი სოფლის მეურნეობაა, რომელსაც დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს მთელი ჩვენი ქვეყნისათვის. მის სხვადასხვა დარგებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მეაბრეშუმეობას.

ქართველი ხალხი ძველთაგანვე მისდევს მეაბრეშუმეობას, მაგრამ ეს დარგი არასოდეს არ განვითარებულა ისე ფართოდ, როგორც განვითარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

მაგრამ უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მეაბრეშუმეობა ჩვენს რესპუბლიკაში შეუწყნარებლად ჩამორჩა. ეს იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მუშაობის მანკიერი მეთოდების შედეგი, ყოფილი ხელმძღვანელობისა, რომელიც უდარდელობისა და პარადული კეთილდღეობის ვითარებას ნერგავდა.

ახორციელებს რა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ სტალინის მითითებებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობა გადამწყვეტ ზომებს იღებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუხრელი აღმავლობისათვის.

შეისწავლა რა რესპუბლიკაში მეაბრეშუმეობის მდგომარეობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კომისიამ გამოააშკარავა დიდი ნაკლოვანებანი ამ დარგში.

ამ დღეებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოწყობილ თათბირზე, რომელიც ამხანაგ **ა. ი. მგელაძის** თავმჯდომარეობით შედგა, კომისია გამოვიდა მოხსენებით თავისი მუშაობის შედეგების შესახებ. თათბირში მონაწილეობა მიიღეს პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნებმა, საოლქო საბჭოების აღმასკომებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეებმა, ტექნიკური კულტურების, სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, წყალთა მეურნეობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების მუშაკებმა, მეცნიერმა მუშაკებმა, სპეციალისტმა მეაბრეშუმეებმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ზ. ნ. კეცხოველმა, ზ. ნ. ჩხუბიანიშვილმა, ვ. გ. ცხოვრებაშვილმა, ვ. დ. ბუჯიაშვილმა.

თავის მოხსენებაში მეაბრეშუმეობის მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. **ვ. მ. ბაქრაძემ** მოიყვანა კონკრეტული ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელობა ჯეროვნად არ აფასებდა მეაბრეშუმეობას. საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების გეგმა სისტემატურად არ სრულდებოდა. აბრეშუმის პარკის დამზადება არათუ ვერ აკმაყოფილებს მრეწველობის მოთხოვნილებას ნედლეულზე, არამედ კიდევაც ჩამორჩა განვითარების ომამდელ დონეს.

ამისათვის დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ტექნიკური კულტურების სამინისტროს, საქართველოს აბრეშუმის ტრესტს. მათი მიზეზით უკანასკნელ წლებში აბრეშუმის პარკის დამზადება ომამდელ დონეს ვერ აღწევდა, აბრეშუმის ძაფსახვევი ფაბრიკები მთლიანად არ იყო უზრუნველყოფილი ადგილობრივი ნედლეულით. მიუხედავად იმისა, რომ 1951 წელს აბრეშუმის თესლი გაცილებით მეტი რაოდენობით დარიგდა, ვიდრე 1939 წელს, დამზადებული აბრეშუმის პარკის რაოდენობა 10 პროცენტით ნაკლები იყო. კოლოფთესლზე აბრეშუმის პარკის გამოსავლიანობის გეგმა შესრულდა მხოლოდ 88,3 პროცენტით, ამასთან მიღებულ იქნა 38,6 კილოგრამი პარკი ნაცვლად 1939 წელს მიღებული 42,5 კილოგრამისა. კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ხარისხების მიხედვით გეგმის შესრულების საქმეში. 1951 წელს პირველი ხარისხის პარკი დამზადებულ იქნა 27,7 პროცენტი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 35 პროცენტისა, ხოლო მესამე ხარისხის პარკი — 28 პროცენტი, მაშინ როცა გეგმა 23 პროცენტს ითვალისწინებდა.

1952 წლის გაზაფხულის გამოკვების პარკის დამზადების საქმეში ყველაზე მეტად ჩამორჩნენ თეთრი წყაროს, ასპინძის, ხაშურის, დუშეთის, გორის, კასპის, ადიგენის, მცხეთის, ჩხოროწყუს, მაიაკოვსკის, ჭიათურის, საჩხერის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, ხობის, ოჩამჩირის, ვანის, გუდაუთის რაიონები.

— მეაბრეშუმეობაში დაშვებული ერთ-ერთი შეცდომა, — ამბობს ამხ. ბაქრაძე, — ის არის, რომ ფართო მასშტაბით იყენებენ აბრეშუმის ჭიის ზაფხულში გამოკვებას და ამავე დროს სისტემატური ხასიათი აქვს გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმების მნიშვნელოვანი დანაკლისით შესრულებას. ეს იწვევდა პარკის ხარისხის დაქვეითებას, მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის სერიოზულ გაუარესებასა და მოშლას.

თუთის ხის სანერგეებისა და პლანტაციების გაშენების გეგმები ბევრ შემთხვევაში ფორმალურად სრულდება, რადგან არაკეთილხარისხოვნად ჩატარებულ დარგვისწინა სამუშაოთა და შემდეგში მოუვლელობის გამო თუთის ნერგების მნიშვნელოვანი რაოდენობა იღუპება. როგორც წესი, კოლმეურნეობებში თუთის ხის სანერგეები და პლანტაციები შემოღობილი არ არის. იშვიათი როდია აგრეთვე შემთხვევები თუთის ხეების თვითნებური გაჩეხვისა კოლმეურნეობებში, განსაკუთრებით საკარმიდამო ნაკვეთებზე.

უკანასკნელ ხანს საქართველოს მეცნიერებმა გამოიყვანეს თუთის ხის ახალი ჯიშები, რომლებიც ფოთლის 2,5 — 3-ჯერ მეტ მოსავალს იძლევიან, ვიდრე ძველი ჯიშები. ასეთ ჯიშებს ეკუთვნის „გრუზია“, „ქუთათური“, „თბილისური“ და „თბილნიშ № 7“. მაგრამ ეს ახალი ჯიშები სუსტად ინერგება წარმოებაში. 1952 წლის გაზაფხულზე დამყნობილმა ჯიშიანმა თუთის ხეებმა გაიხარა თბილისის ოლქში — 24,5 პროცენტით, ქუთაისის ოლქში — 43,4 პროცენტით, აფხაზეთში — 31,9 პროცენტით, აჭარაში — 54,5 პროცენტით და სამხრეთ ოსეთში — 9,4 პროცენტით.

დიდი ნაკლოვანებებია აბრეშუმის ჭიის განსაზოგადოებული გამოკვების ორგანიზაციაში. საქართველოში მეაბრეშუმეობას მისდევს 1.320 კოლმეურნეობა, მაგრამ არც ერთ მათგანს არა აქვს საზოგადოებრივი საჭიე. გეგმით კი გათვალისწინებული იყო 780 შენობის აგება.

საზოგადოებრივი საჭიეები რომ არ არის, ეს ძლიერ გაილენას იხდენს მეაბრეშუმეობის მოწინავეთა — ნოვატორთა მეთოდის დანერგვაზე წარმოებაში, მეთოდისა, რომელიც ჭიის გამოკვების ვადების შემცირების, პარკის გამოსავლიანობის გადიდების შესაძლებლობას იძლევა.

აბრეშუმის ჭიის საზოგადოებრივი გამოკვებისათვის განკუთვნილი შენობების მშენებლობის ჩაშლაში ბრალი მიუძღვით უწინარეს ყოვლისა საქართველოს აბრეშუმის ტრესტს და სასოფლო და საკოლმეურნეო მშენებლობის სამმართველოს.

წლითიწლობით არ სრულდება პარკის პირველადი გადამუშავების პუნქტების მშენებლობისა და რემონტის გეგმა. ზოგიერთი პუნქტი მთლად დაძველებულია.

შემდეგ ამხ. ბაქრაძე ლაპარაკობს მეაბრეშუმეობის დაგეგმვის ნაკლოვანებებზე. ნაკლები ყურადღება ექცევა მეაბრეშუმეობის განვითარებას, ამისათვის ხელსაყრელ შესაძლებლობათა გამოყენებას თბილისის ოლქში და სამხრეთ ოსეთში.

შეეხო რა მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პოპულარიზაციას, ამხ. ბაქრაძემ აღნიშნა, რომ ამ საქმეშიც ყველაფერი ვერ არის რიგზე. სერიოზული ნაკლოვანებები აქვს ლიტერატურას მეაბრეშუმეობის საკითხებზე. დღემდე არ გამოცემულა ფართო მკითხველისათვის მისაწვდომი, კარგი ბროშურა მეაბრეშუმეობის ნოვატორთა გამოცდილებაზე. არ არის თვალსაჩინო ხელსაწყოები.

— მეაბრეშუმეობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, თქვა დასასრულ ამხ. ბაქრაძემ, — მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ პარტიის საოლქო კომიტეტები, საოლქო აღმასკომები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ტექნიკური კულტურების სამინისტრო, პარტიის რაიკომები და რაიაღმასკომები ჯეროვნად ვერ აფასებენ სახალხო მეურნეობის ამ დარგს, კონკრეტულად და სისტემატურად არ მუშაობენ მეაბრეშუმეობის განვითარების საკითხებზე.

კამათში პირველი გამოვიდა საქართველოს აბრეშუმის ტრესტის მმართველი ამხ. **ა. არეშიძე.** მისმა გამოსვლამ ვერ დააკმაყოფილა თათბირის მონაწილენი. ნაცვლად იმისა, რომ, როგორც ეს კომუნისტ ხელმძღვანელს შეჰფერის, გულახდილად და პირდაპირ ეფიარებინა თავისი დანაშაული მეაბრეშუმეობაში დაშვებულ დიდ გარღვევებში, ამხ. არეშიძე შეეცადა სხვებისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა ნაკლოვანებებისა და შეცდომებისათვის. მან არაფერი არ თქვა იმაზე, თუ როგორ ფიქრობს ტრესტი, რომელსაც იგი სათავეში უდგას, გარდაქმნას თავისი მუშაობა და რა დახმარებას გაუწევს იგი ადგილობრივ ორგანოებს მეაბრეშუმეობის აღმავლობაში.

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. **ს. ნიკოლაიშვილმა** აღნიშნა, რომ მეაბრეშუმეობის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში ბრალი მიუძღვის ინსტიტუტსაც, რომლის მუშაკებმა საკმაო სიმტკიცე ვერ გამოიჩინეს იმ მხრივ, რომ წარმოებაში ფართოდ დაენერგათ მეცნიერების მიღწევები.

— საქართველოს კოლმეურნეობები, — ამბობს შემდეგ ამხ. ნიკოლაიშვილი, — ყოველწლიურად დიდ სამუშაოებს ასრულებენ თუთის ხის მყნობის დარგში. მაგრამ ნამყენის გახარება მეტად დაბალია. ამის მიზეზებია ის, რომ არა გვყავს კვალიფიციური მყნობელები, არ იცავენ კალმების შენახვის წესებს, გახარებული ნარგავები საკმაოდ უზრუნველყოფილი არ არის აგროტექნიკური მოვლით. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას უაღრესად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევძლებთ შევქმნათ მტკიცე საკვები ბაზა. არის სხვა, ფრიად მნიშვნელოვანი ღონისძიებაც, რომელზეც ბევრად არის დამოკიდებული თუთის ხის მოსავლიანობის გადიდება. ეს არის მინერალური სასუქების გამოყენება ნიადაგის დამუშავების კომპლექსში. როგორც ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა ცდებმა დაგვანახვა, სასუქები ორნახევარჯერ ადიდებს თუთის ფოთლის მოსავლიანობას.

ამხ. ნიკოლაიშვილს მეაბრეშუმეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაუმჯობესებისა და გაფართოებისათვის აუცილებლად მიაჩნია მოეწყოს ინსტიტუტის შემადგენლობაში ორი ახალი სექტორი, აგრეთვე აღდგენილ იქნას ინსტიტუტის სისტემაში მეაბრეშუმეობის თესლავისა და ზუგდიდის დასაყრდენი პუნქტები.

პარტიის საოლქო კომიტეტების მდივნებმა ამხ. **შ. ჭანუყვაძემ** (ქუთაისის ოლქი), **კ. ბუჯიაშვილმა** (თბილისის ოლქი), **გ. ცინცაბაძემ** (აჭარის ასსრ), **ა. იმნაძემ** (სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი), აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **მ. დელბამ** თავიანთ გამოსვლებში განაცხადეს, რომ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმის შეუსრულებლობა უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საოლქო პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყოველდღიურად არ მუშაობენ მეაბრეშუმეობის საკითხებზე.

— პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტმა, — განაცხადა ამხ. შ. ჭანუყვაძემ, — ახლა მიიღო ზომები მეაბრეშუმეობის საკვები ბაზის გასაუმჯობესებლად. დაირგვება 1.300.000 ძირი მაღალმოსავლიანი თუთის ხე, ძირითადად პლანტაციების სახით, რაც შესაძლებლობას მოგვცემს განვახორციელოთ მწკრივთა შორის სამუშაოთა მექანიზაცია, აგრეთვე შემოვაკავოთ პლანტაციები, დავიცვათ ნარგავები გაფუჭებისაგან. 1953 წელს პარკის დამზადების გეგმას შევასრულებთ და საფუძველს ჩავუყრით მტკიცე საკვებ ბაზას.

— ცნობილია, — თქვა ამხ. კ. ბუჯიაშვილმა, — რომ ახლანდელი თბილისის ოლქის რაიონებში ყოველთვის იღებდნენ მაღალხარისხოვანი პარკის უხვ მოსავალს. უკანასკნელ წლებში კი ჩვენმა ოლქმა ამ მხრივ დაკარგა თავისი ყოფილი სახელი. თბილისის ოლქის კომუნისტები გამოასწორებენ შეცდომას. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ კოლოფ აბრეშუმის თესლზე პარკის გამოსავლიანობის გადიდებას.

ამხ. კ. ბუჯიაშვილმა დააყენა საკითხი, რომ აუცილებელია შეიქმნას ოლქში მეაბრეშუმეობის სპეციალური ორგანო.

— სამხრეთ ოსეთში, — განაცხადა ამხ. ა. იმნაძემ, — მეაბრეშუმეობას 21 კოლმეურნეობა მისდევს, მაგრამ ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთ მათგანს მაინც შეესრულებინოს პარკის დამზადების გეგმა. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სამხრეთ ოსეთში მეაბრეშუმეობის განვითარების პირობები არ არის. პირიქით, ჩვენს ოლქს, ისევე როგორც მთელ აღმოსავლეთ საქართველოს, ამ მხრივ ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები აქვს. პარკის დამზადების გეგმის სისტემატური შეუსრულებლობა მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ საკოლმეურნეო წარმოების ამ დარგს ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევთ. კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, ამ საქმისათვის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის გაძლიერებით მივაღწევთ იმას, რომ 1953 წელს შევასრულებთ ყველა დავალებას მეაბრეშუმეობის განვითარების დარგში.

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეთუთეობის სექტორის გამგემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. **გ. ჯაფარიძემ** თავისი გამოსვლა მიუძღვნა მეაბრეშუმეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საკითხებს. ამხ. ჯაფარიძე ამბობს, რომ საჭიროა ყველგან გადავიდეთ მაღალმოსავლიანი ჯიშიანი თუთის ხის რგვაზე.

თუთის ხის ნარგავების ადგილობრივი სასუქებით განაყიერების ფართოდ გამოყენების, მხოლოდ ფორმირებული ნერგების დარგვის საჭიროებაზე ილაპარაკა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგროქიმიის კათედრის გამგემ პროფესორმა **ი. სარიშვილმა.**

თბილისის მეაბრეშუმეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის სელექციისა და საჯიშე საქმის სექტორის გამგემ, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. **შ. ღვინეფაძემ** და ამ ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ამხ. **ა. კაფიანმა** თათბირის ყურადღება მიაპყრეს პარკის მოსავლიანობის გადიდების, მეთუთეობაში სამუშაოთა მექანიზაციის საკითხებს.

* * *

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ა. ი. მგელაძემ,** რომელმაც რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებს, მეაბრეშუმეებს და საქართველოს სოფლის ყველა მშრომელ

საზეიმო სხდომა ბუქარესტში რუმინეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მე-5 წლისთავის გამო

ბუქარესტი, 4 თებერვალი. (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის ბუქარესტის სახლში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავს.

რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მეხუთე წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სიმეონ ბუგიჩმა.

თავისი მოხსენების პირველი სიტყვები ს. ბუგიჩმა მიუძღვნა საბჭოთა არმიას, რომელმაც ფაშისტური ტირანიისაგან გაათავისუფლა რუმინეთი, საბჭოთა კავშირსა და დიდ სტალინს.

მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსრ კავშირის მუდმივი დახმარების შედეგად რუმინელი ხალხი მტკიცედ დაადგა სოციალიზმის მშენებლობის გზას და მოკლე ვადაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია რუმინეთის ინდუსტრიალიზაციაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

ს. ბუგიჩს მოხსენება არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით, ოვაციით რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობისა და ამხანაგ ი. ბ. სტალინის პატივსაცემად, რუმინეთის მუშათა პარტიისა და მისი ხელმძღვანელის გ. გეორგიუ-დეჟის პატივსაცემად.

სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი შეძახილებით „დიდება სტალინს!“, „სტალინ! — ვაშა!“ იღებენ ი. ბ. სტალინისადმი მისასალმებელი დეპეშის ტექსტს.

ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები გაიმართა აგრეთვე ქალაქ სტალინში, კლუჟში, კრაიოვაში, იასსა და რუმინეთის სხვა ქალაქებში.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატაში

ბერლინი, 4 თებერვალი. (საკდესი). დღეს ბერლინში გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის 30-ე პლენარული სხდომა.

პალატამ ვაჭრობისა და მომარაგების მინისტრის თანამდებობაზე დაამტკიცა კურტ ვახი, მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრის თანამდებობაზე — გერჰარდ ცილერი, სატრანსპორტო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრის თანამდებობაზე — ბერნდტ ვაინბერგერი და საერთო მანქანათმშენებლობის მინისტრის თანამდებობაზე — ჰელმუტ ვუნდერლიხი.

შემდეგ მოხსენება „1953 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონი“ გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტეოლმა.

გულგარეთის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დამატებითი არჩევნების შედეგები

სოფია, 4 თებერვალი. (საკდესი). დღეს გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საოკოლიო, საქალაქო და სასოფლო სახალხო საბჭოების დამატებითი არჩევნების შედეგების შესახებ, რაც 1953 წლის 1 თებერვალს მოხდა. დამატებითი არჩევნები მოხდა საოლქო სახალხო საბჭოების არჩევნების ორ საარჩევნო ოლქში, საოკოლიო სახალხო საბჭოების არჩევნების ოთხ საარჩევნო ოლქში, საქალაქო სახალხო საბჭოების არჩევნების სამ საარჩევნო ოლქში და სასოფლო სახალხო საბჭოების არჩევნების 61 ოლქში.

არჩევნებში მონაწილეობდა: საოლქო სახალხო საბჭოებისაში — ამომრჩეველთა 98.99 პროცენტი, რომელთაგან 99,91 პროცენტმა ხმა მისცა სამამულო ფრონტის კანდიდატებს; საოკოლიო სახალხო საბჭოებისაში — ამომრჩეველთა 95.85 პროცენტი, აქედან სამამულო ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 99,96 პროცენტმა; საქალაქო სახალხო საბჭოებისაში — ამომრჩეველთა 98,52 პროცენტი, აქედან სამამულო ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 99,67 პროცენტმა; სასოფლო საბჭოებისაში — ამომრჩეველთა 97,56 პროცენტი, აქედან სამამულო ფრონტის კანდიდატებს ხმა მისცა 98,40 პროცენტმა. სულ დამატებით არჩევნებში არჩიულია ბულგარეთის სახალხო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების 70 დეპუტატი.

წყალდიდობის შედეგები ჰოლანდიასა და ინგლისში

პარიზი, 4 თებერვალი. (საკდესი). პარიზის რადიოს ცნობით, პირველი მონაცემების თანახმად, ჩრდილო-დასავლეთ ევროპის ზღვისპირა რაიონებში ხმელეთზე ზღვის გადმოხეთქის შედეგად 2,5 ათასამდე კაცი დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა. ფიქრობენ, რომ, გარდა ამისა, არის ასობით სხვა მსხვერპლი.

ჰოლანდიაში წყალდიდობისაგან უმთავრესად დაზიანდნენ ზეიალანდის პროვინცია და ჰოლანდიის ჩრდილოეთი ნაწილის ქალაქები.

კუნძულ ოვერფლაკის აღმოსავლეთ სანაპიროს ჩრდილოეთ ნაწილში წყალმა შეანგრია ჯებირი და ყველაფერს ანადგურებს თავის გზაზე. ჯებირის მახლობლად მდებარე მრავალი შენობა მოვარდნილმა წყალმა დაანგრია. ჰოლანდიის ბევრ ზღვისპირა რაიონში მდგომარეობა კვლავ კრიზისულია. ჰოლანდიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ საჭირო იქნება 50 ათასზე მეტი მცხოვრების საბოლოო ევაკუაცია დაზარალებული რაიონებიდან.

ინგლისში მეტი წილი წალეკილი რაიონიდან წყალი უკან გაბრუნდა, მაგრამ ეშინიათ ახალი წყალდიდობისა, რადგან ქარიშხლის შედეგად ჯებირთა სისტემა მნიშვნელოვნად დაზიანებულია.

ამერიკის თვითმფრინავის კატასტროფა

პარიზი, 4 თებერვალი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, დღეს დილით ორლის აეროდრომზე დაშვებისას დაიმსხვრა ამერიკის სამხედრო თვითმფრინავი, რომელზეც 19 კაცი იყო. კატასტროფის დროს დაშავდა 5 კაცი, მათ შორის მფრინავი.

მშვიდობისათვის და შრომის უფლებისათვის

ჰელსინკი, 4 თებერვალი. (საკდესი). ფინეთის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება, უმუშევრობის ზრდა, რეაქციული ძალების საქმიანობის გაძლიერება, რომლის მიზანია ჩაითრიონ ფინეთი ახალი სამხედრო ავანტიურების მომზადებაში, ფინელ მშრომელთა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ჰელსინკში, ლახტში, ვაასაში, იუვასკიულში და ფინეთის ბევრ სხვა ადგილას იმართება კრებები უმუშევრებისა და იმ მუშებისა, რომლებიც ჯერ კიდევ მუშაობენ წარმოებაში. მუშები წეიმისა და მთავრობისაგან მოითხოვენ გაუქმდეს რეზერვისტების დაგეგმილი მანევრები, ხოლო ამ ღონისძიებისათვის ასიგნებული სახსრები გამოიყენონ უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის. კრებების მონაწილეები მთავრობისაგან მოითხოვენ ქმედით ღონისძიებებს უმუშევრობასთან საბრძოლველად, ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებას საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებთან, აგრეთვე ყოფილ შუაკორელთა საქმიანობის შეწყვეტას.

ქალაქ ჰელსინკის უმუშევართა დელეგაციამ ინახულა გზათა და საზოგადოებრივ სამუშაოთა მეორე მინისტრი კლეემოლა და ჰკითხა, თუ როგორ აპირებს 70 ათასი უმუშევრისათვის სამუშაოს მიცემის პროგრამის განხორციელების საქმე, რომელზეც მთავრობა გასული წლის შემოდგომაზე ლაპარაკობდა. მინისტრმა არსებითად ვერაფერი ვერ უპასუხა ამ კითხვაზე.

გუშინ, როცა მთავრობის წევრები და სეიმის დეპუტატები, სეიმის სესიის გახსნის წინ, წირვაზე მიდიოდნენ, ეკლესიის მახლობლად ჩამწკრივდნენ უმუშევრები. მათ ეჭირათ ფირფიტები, რომლებზეც წარწერილი იყო ლოზუნგები: „ომარა დაპირება, ჩვენ მოვითხოვთ პრაქტიკულ ღონისძიებებს!“, „უზრუნველგვყავით სამუშაოთი!“.

როგორც დემოკრატიული პრესა იუწყება, ესტერბოტნიაში გრძელდება მშრომელთა მრავალრიცხოვანი კრებები, რომლებზეც გმობენ ქალაქ ვაასაში შუაკორის აღორძინების ცდებს. კრებების მონაწილენი ერთსულოვნად ემხრობიან ქალაქ ვაასას მუშების მოთხოვნას დანაშაულებრივი ორგანიზაციის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციის შესახებ. კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ თუ მთავრობას არ შეუძლია ან არა სურს ეს გააკეთოს, მუშები საქმეს თვითონ მოჰკიდებენ ხელს. კრებების მონაწილეები მოითხოვენ იმ დანაშაულებრივი საქმიანობის მეთაურების დაპატიმრებას, რომლის მიზანია ფაშისტური შუაკორის აღორძინება. ასეთი კრებები გაიმართა დაბებში მიურკიუში, პალოსაარში, ლაიხიაში, ვეტოკანასში, კასკინენსა და სხვა ადგილებში.

პაკისტანში ამერიკელთა ინტრიგების წინააღმდეგ

პაკისტანის გაზეთების პროტესტი

კარაჩი, 4 თებერვალი. (საკდესი). გეგმები პაკისტანის შეყვანისა აგრესიულ შუა აღმოსავლეთის ბლოკში, რომელსაც ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები ქმნიან, იწვევს პაკისტანელი ხალხის დიდ შეშფოთებას თავისი ბედისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. პაკისტანის საზოგადოებრიობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები აღშფოთებას გამოთქვამენ ინტრიგების გამო, რასაც მიმართავენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, რომლებიც ცდილობენ გადააქციონ პაკისტანი თავიანთ სამხედრო ბაზად. საზოგადოებრიობის წარმომადგენლები პაკისტანის მთავრობისაგან მოითხოვენ მკაფიოდ განაცხადოს, რომ იგი გადაჭრით უარყოფს ყოველგვარ წინადადებას, რომელიც შეეხება პაკისტანის შეერთებას ეგრეთწოდებულ „შუა აღმოსავლეთის თავდაცვის ორგანიზაციასთან“ ან რომელიმე სხვა მსგავს ბლოკთან, რომელსაც აგრესიული მიზნები აქვს პაკისტანის უახლოეს მეზობელთა მიმართ და ითვალისწინებს პაკისტანის ტერიტორიის გამოყენებას მესამე მსოფლიო ომის პლაცდარმად.

კომენტარს უკეთებდა რა ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში და ხმელთაშუა ზღვაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლის ვიცე-ადმირალ რაიტის განცხადებას, რომელიც მან ამას წინათ გააკეთა კარაჩში, გაზეთი „იმროზი“ 1 თებერვალს წერდა, რომ. როგორც რაიტმა განმარტა, ამერიკის მთავრობის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობანი გულისხმობენ შემდეგს: 1) მთელი რაიონი, ბენგალიის უბის ჩათვლით, მის სარდლობაშია; 2) ამ რაიონის ყველა კომუნიკაცია მის კონტროლს ექვემდებარება; 3) რამდენადაც ამერიკის შეიარაღებული ძალები აქ „ავანსაჟორებული ამბების“ შიმხვევაში იმოქმედებენ, მისთვის დაქვემდებარებული სამხედრო-საზღვაო ძალები ამამად შეუდგებიან კლიმატური და სხვა პირობების შესწავლას ამ რაიონში (ა 4) რადგან პაკისტანი მისი სარდლობის სფეროში შედის, რაიტს სურს მოვიდეს აქ კიდევ ერთხელ ან იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება.

საკვირველია, წერს შემდეგ გაზეთი, რომ პრემიერ-მინისტრ ნაზიმუდინის განცხადების მიხედვით, არავინ თავი არ შეიწუხა ეცნობებინა პაკისტანის ხალხისათვის და, რაც უფრო მეტად საკვირველია, პაკისტანის მთავრობისათვის, რომ „ჩვენი ქვეყნისათვის არა მარტო მომზადებულია სამხედრო პლაცდარმის როლი, არამედ უკვე გარკვეული პრაქტიკული ნაბიჯებიც არის გადადგმული ამ მხრივ“.

სასტიკად აკრიტიკებს რა მთავრობას მისი პოზიციისათვის შუა აღმოსავლეთში ამერიკის გეგმების საკითხში, გაზეთი წერს: სანამ „ჩვენს თავისუფლებას გაყიდდეს, პაკისტანის მთავრობა უნდა მოეთათბიროს ხალხს, მთავრობამ კი არც ინება ეცნობებინა მისთვის ამის შესახებ“.

მას შემდეგ, რაც ვიცე-ადმირალმა რაიტმა აშკარად განაცხადა, რომ პაკისტანი და ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებას აწარმოებენ „შუა აღმოსავლეთის თავდაცვითი ორგანიზაციის“ შექმნის შესახებ, წერდა გაზეთი „პაკისტან ტაიმსი“, ყველანი მოელოდნენ, რომ პაკისტანის მთავრობა კატეგორიულად გამოთქვამს თავის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირი გავრცელდეს შუა აღმოსავლეთზე. ამის ნაცვლად პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა კვლავ გაიმეორა, რომ მან სრულიად არაფერი იცის პაკისტანსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის განზრახული მოლაპარაკების შესახებ და რომ ასეთი მოლაპარაკება „შესაძლოა კიდევაც წარმოებს, მაგრამ აქამდე მას არ მიუღია მოხსენება თავის საგარეო საქმეთა მინისტრისაგან“. ასეთი დიდი ეროვნული მნიშვნელობის საკითხი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, უნდა წყდებოდეს პარლამენტში ხალხთან კონსულტაციით, სანამ დაიწყებოდეს მოლაპარაკება „ყოველგვარ ამის მსგავს სახიფათო კავშირზე“.

ა. ვ. ხანი გაზეთ „პაკისტან ტაიმსში“ წერს, რომ მუსლიმანფრონტმა ქვეყნებმა იმდენად ბევრი ტანჯვა გადაიტანეს ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტებისაგან, რომ ამ ქვეყნებში არავის სურს ჩაირეოლ იქნას მისი სამშობლო შუა აღმოსავლეთის ბლოკში.

შუა აღმოსავლეთის ბლოკში პაკისტანის შეყვანისაკენ მიმართული ინტრიგები სასტიკად დაგმო ამას წინათ აღმოსავლეთ პაკისტანში შექმნილი დემოკრატიული პარტიის გენერალურმა მდივანმა მოხამედ ალიმ.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის 13 ხელმძღვანელის განცხადება

ნიუ-იორკი, 4 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის 13 ხელმძღვანელის საქმეზე სასამართლოში განაჩენის გამოტანის წინ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებმა გააკეთეს განცხადებანი.

პირველი გამოვიდა ელიზაბეტ ჰარლი ფლინი.

საშინელია, თქვა ფლინმა, შეერთებულ შტატებს ხედავდე „შიშის იმ უსარგებლო, უაზრო ფარდის“ ჩრდილში, რაც შექმნა მმართველმა კლასმა, რომელიც მილიარდობით დოლარს ხარჯავს შეიარაღებაზე იმის გამო, რომ მას აშინებს მსოფლიოს ყველა ხალხის მზარდი მისწრაფება თავისუფლებისადმი. ფლინმა განაცხადა, რომ, მიუხედავად „ეშმარიტების ხმის ჩახშობის“ ყველა ცდისა, დადგება დრო, როცა ამერიკელი ხალხი გაიგებს, რომ მისი ნამდვილი მტრები არიან „ადამიანები, რომლებიც მზად არიან გააჩაღონ ომი იმ იმედით, რომ თავიანთი ცუდი ინგარებითი ძალაუფლება გაავრცელონ მთელ მსოფლიოზე“.

ომი გარდუვალი არ არის, განაცხადა ფლინმა და განაგრძო: „ვამაყობ იმ როლით, რომელსაც ჩვენ, ჩვენი ქვეყნის კომუნისტები, მთელი მსოფლიოს კომუნისტებთან ერთად მშვიდობისათვის ბრძოლაში ვასრულებთ.. მე დამშვიდებული შევეცქერი მომავალს, რადგან ვიცი, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. ჩვენ ვიცით რომ მილიონობით ამერიკელი იზიარებს ჩვენს სიძულვილს ფაშიზმისა და ომისადმი და სურს მშვიდობა“.

შიმშილობა ბრაზილიაში და ინდოეთში

მონტევიდეო, 5 თებერვალი. (საკდესი). ბრაზილიის პრესის ცნობით, ბრაზილიის ბევრ რაიონში შიმშილი მძვინვარებს.

გაზეთი „კორეიო და მანია“ ამ დღეებში წერდა, რომ სოლედადში, ტეფეირაში, ტაპეროაში, ბარა-სანტა-როზაში და პარაიბის შტატის სხვა მუნიციპალიტეტებში კვების პროდუქტები მწვავე ნაკლებობაა, ხოლო კარირისა და კურიმატაუს რაიონებში მოსახლეობის ნაწილი, შიმშილით რომ არ მოკვდეს, სხვადასხვა ბალახებით იკვებება. სან-პაულოს შტატში, აღნიშნავდა გაზეთი, ბრინჯის მარაგი იღლება და იგი მხოლოდ ექვს დღეს იკმარებს.

გაზეთი „ო პოპულარი“ იუწყება, რომ „ბევრი მუნიციპალიტეტიდან ცუდი ცნობები მოდის. არ არის ხორცი, სამუშაო, წყალი, წამლები. წყალი დაშრა, ყველა მშიერი და შიშველია“.

ამაზონასის შტატში, როგორც გაზეთი „იმპრენსა პოპულარი“ გადმოგვცემს, სწრაფად იზრდება მოსახლეობის სიღატაკე. გამეფებულია უმუშევრობა. ქალაქების ქუჩებში მოწყალებას ითხოვს ათასობით მამაკაცი, ქალი და ბავშვი. ქალაქ პირასიკაბაში (სან-პაულოს შტატი) 24 წლის ასაკის დედამ ბენედიტა ლეანდრომ, რომელიც შიმშილმა სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა, მდინარეში გადააგდო თავისი სამი თვის შვილი.

„დღევანდლამდე, — წერს გაზეთი „კორეიო და მანია“, — მთავრობამ ვერ შეძლო ხალხისათვის მეინიეზინა ერთ-ერთი სრულიად ელემენტარული უფლება — უფლება ჰქონდეს კვების პროდუქტები“.

დელი, 5 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან ტაიმსი“ იუწყება, შოლაპურის რაიონის (ბომბეის შტატი) 954 სოფლიდან შიმშილი მძვინვარებს 659 სოფელში. ამ რაიონის მილიონნახევარი მოსახლეობიდან 1 მილიონი კაცი შიმშილობს.

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 4 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან ერთად განვლილ დღეს ყველა ფრონტზე ეწეოდნენ ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

დღეს ჰაერის ამერიკელი მეკობრეები კვლავ დაესხნენ თავს სამხრეთ ხამგენის პროვინციის მშვიდობიან დასახლებულ პუნქტებს, ბარბაროსულად დაბომბეს და ტყვიამფრქვევის სროლა აუტეხეს მათ. დაზარალდა ბევრი მცხოვრები და დანგრეულია ბევრი საცხოვრებელი სახლი.

სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მტრის 4 და დაახიანეს 3 თვითმფრინავი.

ამერიკელი ინტერვენტები აძლიერებენ კორეის ქალაქებისა და სოფლების დაბომბვას

ფხენიანი, 4 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის ავიაცია განაგრძობს კორეის მშვიდობიანი ქალაქების, სოფლებისა და მეთევზეთა დაბების მხეცურად დაბომბვას და მათთვის ცეცხლის დაშენას. წელს ამერიკის ავიაციამ ათჯერ და მეტჯერ მოახდინა გაფთრებული თავდასხმა ვონსანსა და მის მიდამოებზე. ქალაქს ყოველდღე უშენენ ამერიკის სამხედრო ხომალდები.

20 იანვარს დილით, იუწყება კორეის ცენტრალური დეპეშათა სააგენტო, ამერიკის 16 ბომბდამშენი ერთი საათის განმავლობაში ბომბავდა და ცეცხლს უშენდა ნანგრევებად ქცეულ ვონსანს. ნაშუადღევის 3 საათზე ამერიკის 20 მოიერიშე თვითმფრინავმა ქალაქსა და მის მიდამოებს ასზე მეტი ბომბი დააყარა და სროლა აუტეხა მიწურებს, სადაც თავშეფარებული მოსახლეობა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 17 ბავშვი, ბევრი ქალი და მოხუცი. ამავე დღეს საპაერო თავდასხმათა შორის ამერიკის ხომალდები ქალაქს მძიმე ქვემეხებს უშენდნენ.

მეორე დღეს ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაბომბეს ვონსანი, ამავე დროს ქალაქს ზღვიდანაც უშენდნენ. დაინგრა გლეხთა 100-ზე მეტი თიხატაქანილი სახლი და მრავალი მიწური. 23 იანვარს განთიადისას ვონსანი და ახლომახლო სოფლები ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაბომბეს და ცეცხლი დაუშინეს.

კორეის სახალხო არმიის მე-5 წლისთავი

ფხენიანი, 4 თებერვალი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობა უდიდესი აღფრთოვანებით ემზადება კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავისათვის, რაც 8 თებერვალს სრულდება. რესპუბლიკის ყველა რაიონში შეიქმნა დღესასწაულის მომზადების კომიტეტები. არმიისა და ხალხის მტკიცე და ურღვევ კავშირს და ფრონტის მეთაურებისადმი მოსახლეობის სიყვარულს მოწმობს დღესასწაულის ამ წინა დღეებში მშრომელთა მიერ ფრონტზე ათეულ ათასობით სახჩუქრის, წერილისა და მისასალმებელი დეპეშების გაგზავნა. მარტო ტიანგანის პროვინციის ჯანგანის მაზრის მცხოვრებლებმა იანვრის მეორე ნახევარში ფრონტზე გაგზავნეს 5 ათასი ამანათი და სახჩუქარი. სახალხო არმიის მებრძოლებსა და ოფიცრებს 100 ათასი სადღესასწაულო წერილი გაუგზავნეს ფრონტისპირა პროვინციის — ხვანხეს მცხოვრებლებმა. კესონის განთავისუფლებული რაიონის მცხოვრებლებმა მოაწყეს რამდენიმე საკონცერტო ბრიგადა, რომლებიც გამოვლენ ამ რაიონის დამცველ მებრძოლთა წინაშე. კორეის დემოკრატიული ახალგაზრდობის კავშირმა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების ყველა სკოლაში მოაწყო წრეები, რომლებშიც ახალგაზრდობა სწავლობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირების ბიოგრაფიებს, ხოლო შემდეგ მოსახლეობას მოუთხრობს მათს უკვდავ საგმირო საქმეებზე. ფხენიანის რადიოკომიტეტი აწყობს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირებისადმი მიძღვნილ სალიტერატურო-მხატვრულ ერთთვიურს. სახალხო არმიის სახელოვანი იუბილეს წინადღეებში ჯარის ყველა ნაწილში, დაწესებულებებში, საწარმოებსა და სასწავლებლებში, ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა საზეიმო კრებები კორეის სახალხო არმიის მეხუთე წლისთავის აღსანიშნავად.

ჩანკაიშელთა ბანდები ბირმაში

შანხაი, 4 თებერვალი. (საკდესი). ბირმის პრესა შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ბირმაში არიან ჩანკაიშელთა ბანდები, რომლებიც იქ გადაჰყავთ ტაილანდის ტერიტორიით. გაზეთი „ხანტავადი“ მოუწოდებს ბირმის მთავრობას ბოლო მოუღოს გომინდანელთა შელწევას ბირმაში.

რანგუნიდან მიღებული ცნობებით შარშან ნოემბრამდე ტაილანდში სამხედრო სწავლება გაიარა 3.000 გომინდანელმა და ამზადებდნენ კიდევ 7.000-მდე კაცს. მომზადების შემდეგ გომინდანელებს აიარაღებენ და ბირმაში გაზავნიან. როგორც ამას წინათ „ბირმის მუშათა და გლეხთა პარტიამ“ განაცხადა, ბირმაში ახლა 20 ათასამდე გომინდანელია.

ჩანკაიშელთა ბანდები აეროდრომებს აგებენ ბირმის ტერიტორიაზე. როგორც გასული წლის დეკემბერში ტაილანდის გაზეთი „ნანსიაპიმ-ჩაო“ იუწყებოდა, გომინდანელებმა ბირმაში ააგეს ორი საიდუმლო აეროდრომი: ერთი სოფელ კომის ახლოს (ტაილანდის საზღვართან) და მეორე — ქალაქ იეს ახლოს, რომელიც დაახლოებით ტაილანდის საზღვრისპირა ქალაქ ტაკანუნიდან 70 კილომეტრზე მდებარეობს. გომინდანელებს აეროდრომი აქვთ აგრეთვე მონგსატში.

შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ თავიანთი აგრესიული მიზნებისათვის გამოიყენონ ბირმაში მყოფი ჩანკაიშელთა ბანდები. როგორც „ბირმის მუშათა და გლეხთა პარტიამ“ თავის განცხადებაში აღნიშნა, გომინდანელთა ჯარების შეჭრა ბირმაში ნაწილია ამერიკის შეერთებული შტატების გეგმისა, რომლის მიზანია ბირმის გადაქცევა სამხედრო ბაზად.

ბაკურიანი. საქართველოს პირველობა სათხილამურო სპორტში. **სურათზე:** მარცხნივ — მომენტი ქალთა შეჯიბრებისა 5 კილომეტრზე; ხტომა ტრამპლინიდან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საქართველოს XVIII პირველობა სათხილამურო სპორტში

ბაკურიანი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ჩემპიონატის მეოთხე დღის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრება ორჭიდის მეორე სახეობაში — 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში და თხილამურრბენში 18 კილომეტრზე ვაჟებისათვის. პირველი ადგილი და საქართველოს 1953 წლის ჩემპიონის წოდება თხილამურრბენში 18 კილომეტრზე მოიპოვა თბილისის ოლქის პირველი გუნდის სპორტსმენმა ვ. მურჯიკნელმა, რომელმაც მანძილი გაირბინა 1 საათში 24 წუთსა და 17 წამში. დისტანცია წარმატებით გაიარეს აგრეთვე ო. ბიბილურიძემ და ვ. კოზანაშვილმა (ორივე თბილისის ოლქის პირველი გუნდიდან), რომლებმაც მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

ორჭიდში ჩემპიონის გამოსავლინებლად გაიმართა შეჯიბრება 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ორი ნახტომის ჯამით უკეთეს შედეგს მიაღწია თბილისის ოლქის პირველი გუნდის წარმომადგენელმა კ. წაქაძემ, რომელმაც 222,7 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილი დაიკავა პ. გავამ (აჭარა), მესამე — ზ. თვაურმა (თბილისის ოლქის მეორე გუნდი).

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ შეჯამებულ იქნა ორჭიდის (18 კილომეტრზე თხილამურრბენი და 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა) საბოლოო შედეგები. სათხილამურო სპორტის ამ სახეობაში შეგროვილი 454 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და საქართველოს ჩემპიონი გახდა ა. ადამიანცი (თბილისის ოლქის პირველი გუნდი). მეორე ადგილზე გამოვიდა კ. წაქაძე (თბილისის ოლქის პირველი გუნდი), მესამეზე — პ. გავა (აჭარა).

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 4 თებერვალი. (საკდესი). დღეს გაიმართა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის მე-7 ტური.

გროსმაისტერმა სმისლოვმა, რომელიც რუმინელ მოჭადრაკე ტრიანიესკუსთან თამაშობდა, ხელთ იგდო ინიციატივა ლაზიერის ფლანგზე, შექმნა ძლიერი გამსვლელი პაიკი და მალე მოიგო პარტია. გროსმაისტერმა პეტროსიანმა დაამარცხა მილევი (ბულგარეთი), ტოლუშმა მოუგო ფილიპს (ჩეხოსლოვაკია).

სპასსკი (სსრ კავშირი) — შაიტარის (ჩეხოსლოვაკია) პარტია ყაიმით დამთავრდა. გროსმაისტერ ბოლესლავსკის უპირატესობა აქვს პოლონელ მოჭადრაკე სლიეპასთან გადადებულ პარტიაში.

უნგრელმა გროსმაისტერმა ლ. საბომ 35-ე სვლაზე მოუგო შტოლცს (შვეიცია). რუმინეთის ჩემპიონმა ჩოკოლტიამ დაამარცხა რედულესკუ (რუმინეთი).

უნგრელმა ოსტატმა ბარცამ მოუგო ბარდას (ნორვეგია). შ. საბო (რუმინეთი) — გოლომბეკის (ინგლისი) პარტია გადაიდო. ო'კელი (ბელგია) — რეიხერის (რუმინეთი) პარტია ყაიმით დამთავრდა.

სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაზე ჭადრაკში

4 თებერვალს საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჭადრაკში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაზე შეჯიბრების მეექვსე პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიოს ჩემპიონი ბოტვინიკი. 23-ე სვლაზე მან ყაიმი შესთავაზა ტალმანოვს, მაგრამ ახალგაზრდა გროსმაისტერმა უარყო ეს წინადადება.

ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ პარტია დაუმთავრებელი დარჩა და გადაიდო რთულ მდგომარეობაში. ბოტვინიკმა ჩაიწერა 41-ე სვლა.

(საკდესი).

მწერალთა კავშირში

შაბათს, 7 თებერვალს, მწერალთა კავშირში, პროზაიკოსთა სექციის საჯარო სხდომაზე განხილულ იქნება ა. ბელიაშვილის რომანი „ოქროს ჩარდახი“.

მომხსენებელია ბ. ჟღენტი. კამათში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები.

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

საქართველოს რადიოგადაცემათა 7 თებერვლის პროგრამა

რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით: 06.45 — ხალხური საკრავების ორკესტრის კონცერტი; 09.20 — ქართული სიმღერები; 10.30 — ალ. მირცხულავას ლექსები რუსულ ენაზე; 12.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები; 12.45 — კამერული მუსიკა; 17.15 — ნაწყვეტები ოპერებიდან ეკ. გოსტუნინას შესრულებით; 17.40 — გადაცემა ბავშვებისათვის — რადიოკომპოზიცია „იტალიის მზის ქვეშ“; 18.15 — კონცერტი რადიომსმენელთა შეკვეთით; 19.20 — სიმღერები და სერენადები; 19.45 — გადაცემა: „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“; 20.30 — გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის; 20.30 — ექიმის საუბარი (თბილისის საქალაქო ქსელით); 20.45 — მუსიკალური ლექსიკონი; 21.15 — საუბარი საარჩევნო თემებზე; 22.20 — ნაწყვეტი კ. გამსახურდიას ახალი რომანიდან „ვაზის ყვავილობა“; 00.05 — საცეკვაო მუსიკა.

ოპერისა და ბალეტის თეატრი

7 თებერვალს	ვ. დოლიძე — ძმეთო და კოტე
8 თებერვალს	დღის 12 საათზე ჯ. ვერდი — აიდა (საღამოს) ლ. მინკუსი — დონ-კიხოტი (ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით).

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

მოქალაქე **ნინო ალექსანდრეს ასულმა ვარდიაშვილმა,** მცხოვრებმა სოფელ ქვემო ბაკურციხეში (გურჯაანის რაიონი), აღძრა საქმე ქ. თბილისში, რაჭის ქ. № 2 მცხოვრებ **გრიგოლ იაგორის-ძე გოგიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **მურმან შალვას-ძე მგალობლიშვილმა,** მცხოვრებმა აგურის ქარხნის საცხოვრებელში, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ვ